გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
კვირა, 24 ივლისი, 2005 წელი.
№174 (5207)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბედკრული სიცოცხლეა, ცრემლებით და ჭირებით ბედის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.



იხ. მე-3 გვ.

## სახელმწიფოსა და თბილისის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

### პროფესორ რამაზ შენგელიას სიყვარულით ნაკარნახევი მოსაზრებები

## რატომ გალაშქრდა რომის პაპი ჰარი პოტერს?




იხ. მე-7 გვ.



ტურიზმის პრობლემები საქართველოში

## „ბუნების სიბრძნე“ იაპონიაში

იხ. მე-3 გვ.

## მეხი ისე არას გვავნებს...

ზოგჯერ მეხდაცემულები გადარჩებიან, ზნედაცემულები – არა!

იხ. მე-6-7 გვ.



## ბილ კლინტონს თავისი დაქრძალვა დაავიწყდა

იხ. მე-7 გვ.



## ნოდარ ახალკაცის პირველი „მსხვერპლი“



## ალენ ჟირესი ამხელს

იხ. მე-2 გვ.

## წიგნის მოძულენი

იხ. მე-2 გვ.



### ◉ ინფორმაცია

## ვლადიმერ არუთინიანს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

თავისუფლების მოედანზე 10 მაისს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილს ვლადიმერ არუთინიანს გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ მოსამართლე გიორგი ჩემიას ხელმძღვანელობით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო პროცესი რესპუბლიკური საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გაიმართა.

განსასჯელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარედგინა, რაც იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვას, ტარებასა და შეძენას გულისხმობს. რაც შეეხება ტერორიზმის ბრალდებას, მისთვის ეს ბრალდება ჯერჯერობით არ წაუყენებიათ.

არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. იგი გამოდის კონტაქტზე, მასთან გასაუბრება შესაძლებელია.

როგორც ცნობილია, ამ ფაქტის გამოძიებაში ჩართულია ამერიკული მხარე. მათ ქართულ მხარეს სთხოვეს, რომ კომენტარები ნაკლებად გაკეთდეს.

რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან გაძლიერებული დაცვა დგას და ყველა შემსვლელი მოწმდება.



## დამნაშავე ხელყუმბარის სროლის ტრაექტორიას აღწერს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი ვიდეოკადრები გაავრცელა, სადაც 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანი ხელყუმბარის სროლის ტრაექტორიას აღწერს.

ეს არის მოკლე ვიდეოჩანაწერი, სადაც არუთინიანი ხელით აჩვენებს ხელყუმბარის სროლის მიმართულებას და აცხადებს, რომ მან ხელყუმბარა ხალხში ისროლა და კონკრეტულად ბუშისთვის არ დაუმიზნებია.

თუმცა შს სამინისტროს მიერ პირველად გავრცელებულ კადრებში კითხვაზე, ესროლა თუ არა მან ხელყუმბარა ბუშს, იგი დადასტურებით ამბობს, რომ ხელყუმბარა ნამდვილად ისროლა.

## აცილება თავად მოითხოვა

ცნობილი გახდა ის მიზეზი, რის გამოც ვლადიმერ არუთინიანის ადვოკატი ხათუნა ქუთათელაძე შეცვალეს.

როგორც ადვოკატმა რესპუბლიკური საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი აცილება თავად არუთინიანმა მოითხოვა.

ინტერპრესნიუსი

### ◉ პანორამა



გუშინ ამომავალი მზის ქვეყანა ისევ შეაზანზარა უძლიერესმა მიწისძვრამ. როგორც იაპონელი სეისმოლოგები იუწყებიან, 23 ივლისის მიწისძვრაში ბიძგები ყველაზე ძლიერი იყო ბოლო 13 წლის განმავლობაში. მხოლოდ 18 იაპონელი დაშავდა. ტრავმირებულთა მდგომარეობა საგანგაშო არ არის. როგორც ყოველთვის, მოსახლეობა მომზადებული დაუხვდა სტიქიას. გუშინ მხოლოდ ტოკიოს სარკინიგზო ქსელი იყო დროებით პარალიზებული.

* * *

ლონდონის მეტროში გუშინ გამოცხადებული განგაში, საბედნიეროდ, ტყუილი გამოდგა. უზარმაზარი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, მეტროს სადგურ „Mile End“-ში მგზავრებმა კვალმლი შეამჩნიეს და სახანძრო სამსახურს გამოუძახეს. პოლიციამ უმნიშვნელო ინცინდენტი მალევე უვნებელჰყო.

* * *

ეგვიპტის სახელგანთქმულ კურორტ შარმ-ეშ-შეიხში გუშინწინ, ღამით განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო 20 წლის რუსეთელმა ალექსეი ანტიპოვმა. მას სამედიცინო დახმარება დროზე აღმოუჩინეს... ისრაელმა სასწრაფოდ შესთავაზა ეგვიპტის მთავრობას მაშველთა რაზმები კურორტის დანგრეული ნაწილის აღსადგენად.



ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე შიდა ქართლში შექმნილი ვითარებით კმაყოფილია



**პარლამენტის თავმჯდომარე შიდა ქართლში შექმნილი ვითარებით კმაყოფილებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ შარშანდელთან შედარებით რეგიონში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა.**

**ნინო ბურჯანაძემ შიდა ქართლის ტუბდისპანსერის ახალი შენობა და სასწრაფო დახმარება „03“-ის განყოფილება მოინახულა, შემდეგ გორის საავადმყოფოს ესტუმრა. დღის მეორე ნახევარში პარლამენტის თავმჯდომარე გორის კულტურისა და დასვენების ახლად აღდგენილ პარკს, ხოლო შემდეგ უფლისციხესა და ატენის სიონს ეწვია.**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შიდა ქართლს ერთი წლის წინათაც სტუმრობდა და მაშინაც მოინახულა აღნიშნული ობიექტები, რომელთა მდგომარეობა სავალალო იყო.**

**იმ სამედიცინო ობიექტების ხელმძღვანელები, რომლებსაც პარლამენტის თავმჯდომარე ეწვია, აცხადებენ, რომ ნინო ბურჯანაძემ ერთი წლის წინანდელი დანაპირები დახმარების შესახებ შეასრულა და ყველა პრობლემა მოაგვარა.**

## ზურაბ ნოღაიდელი ანდრანიკ მარგარიანს ჯავახეთში მასპინძლობს



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამცხე-ჯავახეთს ესტუმრა. მან ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხანა დაათვალიერა და მშენებარე პარკი მოინახულა.**

**ნოღაიდელის განცხადებით, ბორჯომის პარკი აგვისტოს პირველ რიცხვებში საზეიმოდ გაიხსნება. ნოღაიდელმა ქალაქში მიმდინარე მშენებლობებით კმაყოფილება გამოთქვა.**

**ბორჯომიდან პრემიერ-მინისტრი ადიგენის რაიონში გაემგზავრა, სადაც ხეტყის გადამმუშავებელი საამქროებისა და აბასთუმნის ობსერვატორიის დათვალიერებას აპირებს.**

**ნოღაიდელი რეგიონში ორ დღეს დარჩება. ზეგ სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ანდრანიკ მარგანიანს ჯავახეთში უმასპინძლებს, სადაც სომეხი მოსახლეობა 24 ივლისს ცნობილი სომეხი პოეტის ვაჰან ტერიანის 120 წლისთავს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, ორივე ქვეყნის მინისტრები სოფელ განჯაში ტერიანის სახელობის სახლ-მუზეუმს, პრეზიდენტის ინიციატივით აშენებულ სკოლასა და ეკლესიას დაათვალიერებენ. დაგეგმილია ასევე რამდენიმე სომხური სოფლის მონახულება, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მოსახლეობასთან შეხვედრა და ვარძიის სამონასტრო კომპლექსის დათვალიერება.**

**როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, მარგანიანის ვიზიტი ორი ქვეყნის თანამშრომლობასა და მეგობრობას კიდევ უფრო გააღრმავებს.**

**ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრები თბილისში 25 ივლისს ჩამოვლენ და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავენ.**

ინტერპრესნიუსი

აქტუალური თემა

# რინგზე გასვლამდე

**შუალედურ არჩევნებში მონაწილე სახელისუფლებო კანდიდატთა სია ფაქტობრივად შედგენილია. როგორც ჩანს, ოპოზიციას სერიოზული კონკურენტები ეყოლება.**

**დავით ბერძენიშვილი, პარლამენტის წევრი:** „ხელისუფლებამ ხუთივე ოლქში მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური ფიგურები დაასახელა. ბიძინა ბრეგაძე შს მინისტრის მოადგილეა და მთელი სამინისტრო ისნის რაიონში მისი გამარჯვებისთვის იბრძოლებს. კობა ხაბაზი სახელმწიფო მინისტრია და მის დასახელებას ქობულეთში აპირებენ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის პალიკო კუბლაშვილის ძმა კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, მას ტყიბულის მაჟორიტარულ არჩევნებში გასამარჯვებლად ამზადებენ. რაც შეეხება ჯემალ ინაიშვილს, ის ბათუმში გია მასალკინს დაუპირისპირდება. ის რეალური კონკურენტია, თუმცა მასალკინს ვერ მოუგებს. აჭარაში რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაკოტრებულია, ეს იმითაც დასტურდება, რომ ბათუმში კანდიდატურა ვერ მოძებნეს და გარედან მოიყვანეს მეტ-ნაკლებად რეიტინგული ფიგურა. არსებობს ინფორმაცია, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელს შემდგომში დაწინაურებასაც უპირებენ, თუმცა მანამდე არჩევნებია, რომელიც ოპოზიციამ უნდა მოიგოს. ჩვენ შიდაარჩევნების შედეგად, სწორედ ისეთ კანდიდატებს წამოვაყენებთ, რომელთაც სახელისუფლებო კანდიდატები ნორმალურ საარჩევნო პირობებში ვერ მოუგებენ“.



საპარლამენტო კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „რესპუბლიკელები“ შუალედურ არჩევნებზე გია მასალკინს მაჟორიტარობის კანდიდატად ბათუმში არ წარადგენენ. „რესპუბლიკელები“ ამ ინფორმაციას უარყოფენ და გია მასალკინზე დიდ იმედებს ამყარებენ. თუმცა, მაინც გაუგებარია, თუ „პრაიმერებში“ „რესპუბლიკელები“ არ მონაწილეობენ, მაშინ თავიანთ კანდიდატს ბათუმში როგორ წარადგენენ. „რესპუბლიკელები“ აცხადებენ, რომ წინასწარ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მათ ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ.

არ უნდათ და ნუ უნდათ, ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვიძალებია, „რესპუბლიკელების“ გარეშეც ჩავატარებთ წინასწარ არჩევნებსო, – განაცხადა კობა დავითაშვილმა. წინასწარი არჩევნები შუალედურ არჩევნებამდე 2-3 კვირით ადრე გაიმართება და ამით გამოვლინდება, თუ საზოგადოება ოპოზიციის რომელ კანდიდატს უჭერს მხარს.

ოპოზიციამ ერთიანი პრაიმერის ჩასატარებლად აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებიც მოიწვია. მოგეხსენებათ, ახლახან ქართველი ოპოზიციონერები (დავით გამყრელიძე, კობა დავითაშვილი, კახა კუკავა) ვაშინგტონში მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიათა ლიდერების შეხვედრას ესწრებოდნენ, სადაც სიტყვით ჯორჯ ბუში გამოვიდა. კონფერენციაზე „ახლები“ ამ ორგანიზაციის წევრის სტატუსით იყვნენ წარმოდგენილი და ამდენად, დავით გამყრელიძეს ამერიკის პრეზიდენტთან პირისპირ საუბრის პატივი ერგო. „კონსერვატორები“ კონფერენციას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ. მოკლედ, ქართველმა ოპოზიციონერებმა ისარგებლეს შემთხვევით და აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლებს პრაიმერის ჩატარებაში ალბათ, მეთვალყურის სტატუსით, მონაწილეობის მიღება სთხოვეს. მასპინძლებმა თხოვნაზე უარი არ უთხრეს. თუნდაც ამიტომაც, ოპოზიციონერი დეპუტატები ამერიკაში ვიზიტს მეტად ნაყოფიერად მიიჩნევენ.

მზია გელენავა

ფაქტი

# ნოდარ ახალკაცის პირველი „მსხვერპლი“

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა სფფ-ს პრეზიდენტის ნების გათვალისწინებით თანამდებობიდან გაათავისუფლა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი. გუშინ სასტუმრო „ბატესტაში“ მოწვეულ გამოსათხოვარ პრესკონფერენციაზე „ჯვაროსანთა“ ფრანგმა თავკაცმა მომხდართან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება გაგვიზიარა და განაცხადა:**



– ნოდარ ახალკაცს სფფ-ს რიგგარეშე ყრილობის შემდეგ ნაკრების მომავლის თაობაზე საფუძვლიანად ვესაუბრე. ჩვენ შევთანხმდით, რომ გუნდის გაახალგაზრდავება ეტაპობრივად უნდა განგვეხორციელებინა. ამის შემდეგ თბილად დავცილდით ერთმანეთს და სამშობლოში გავემგზავრე.

– როცა საქართველოში დავბრუნდი, სფფ-ს შეფმა პირველივე შეხვედრაზე გადმომცა კონკრეტულ ჭაბუკ ფეხბურთელთა სია – ამიერიდან ნაკრებში ამ ბიჭებმა უნდა ითამაშონო, რასაც, ბუნებრივია, ისევ მათივე პერსპექტივის მხედველობაში მიღებით არ დავთანხმდი – მოგეხსენებათ, ასეთ ასაკში პირველივე „ჩავარდნის“ შემთხვევაში როგორ ადვილად კარგავს ფეხბურთელი საკუთარი ძალების რწმენას (მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, მუსიე ჟირესმა ეს გვარები ამჯერად არ „გააჟღერა“ – გ. პ.). სწორედ ამის შემდეგ აირია მონასტერი და მეორე შეხვედრაზე ახალკაცმა პირდაპირ გამომიტანა განაჩენი – სფფ-ს არა აქვს სახსრები თქვენთან თანამშრომლობის გასაგრძელებლადო. მისი ინიციატივით უნდა შექმნილიყო ერთობლივი წერილი, სადაც ჩაიწერებოდა, რომ ფედერაციას არ შეუძლია ჩემი კუთვნილი თანხის გადახდა, მე კი ეს წერილობით უნდა მეცნობებინა ფიფასთვის. ვინაიდან განსხვავებული შეხედულებები გაგვაჩნია აღნიშნულ საკითხზე, ამ შემოთავაზებაზე არ დავთანხმდი და აღმოვჩნდი სფფ-ში უკანასკნელ თვეებში შექმნილი სიტუაციის მსხვერპლი.

– თავისი პოზიციის გასამყარებლად ახალკაცმა ყურადღება გაამახვილა ჩემთან გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის შეუსრულებლობაზე, რომლითაც მე, თითქოსდა, ვკისრულობდი საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ ან მეორე ადგილზე გაყვანას მიმდინარე შესარჩევ ციკლში. მე თავიდანვე ანგარიშს ვუწევდი ჯგუფში ჩვენი მეტოქეების სიძლიერეს და როგორ მოვაწერდი ხელს ასეთ დოკუმენტზე? ის პუნქტი კი არ გვავალდებულებდა ქვეჯგუფში ერთ-ერთი წამყვანი პოზიციის დაკავებას, არამედ ამას თეორიულ შესაძლებლობად განიხილავდა, რაც, დამეთანხმებით, ერთი და იგივე სულაც არ გახლავთ.

– შექმნილი სიტუაციის შესახებ უკვე ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში და მე ბოლომდე მოვითხოვ შეწყვეტილი კონტრაქტის პირობების ზუსტად შესრულებას – სულ სფფ-ს ჩემი 130 000 დოლარი მართებს (80 ათასი წინა თვეების დავალიანება და 50 ათასი – დარჩენილი თვეების ხელფასი). შედარებისათვის იმასაც მოგახსენებთ, რომ საფრანგეთის პრემიერდივიზიონში მწვრთნელის მინიმალური ყოველთვიური ანაზღაურება 16 ათასი დოლარია, თქვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში კი 10 ათასად ვმუშაობდი.

– რაც შეეხება ჩემს შესაძლო მემკვიდრეს, რომლის კანდიდატურაც პრესაში უკვე დასახელდა – გაიოზ დარსაძეს, მე იგი ჭაობიდან ამოვათრიე და დავასაქმე. ყველაფრის მიუხედავად, მას წარმატებებს ვუსურვებ.

დამშვიდობებისას ალენ ჟირესმა კიდევ ერთხელ გამოხატა სიყვარული ქართველი ხალხისადმი და სავსებით შესაძლებლად მიიჩნია ერთ-ერთი კლუბის მწვრთნელის რანგში საქართველოში დაბრუნება.

გია პლატონიშვილი

სიტუაცია

# წიგნის მოძულენი

## ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა გარიგებაში ამხილეს...

**22 ივნისს, თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის (ყოფილი ა. ჯაფარიძის) ცენტრალურ საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც ისევ და ისევ ლაპარაკი იყო ამ ბიბლიოთეკის გასხვისების პრობლემაზე.**



მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ეს დავა დიდი ხანია გრძელდება. ამ თემაზე ჩვენს გაზეთში არაერთი უმწვავესი საგაზეთო წერილებიც დაიბეჭდა, მაგრამ საშველი არ ჩანს და არც გამკითხავი არავინ არ არის.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ სამი წლის წინათ ქალაქის მერიამ ბიბლიოთეკის კუთვნილი – 300 კვადრატული მეტრი ფართობი გაასხვისა და მას შპს სერვისი „მასპინძელი“ (სასტუმროების გაერთიანება), სასტუმრო „ევროპა“ დაეპატრონა. შპს „მასპინძელს“, რომელიც სავარაუდოდ მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ალბათ ქალაქში კიდევ ერთ რესტორანს გახსნიდა, ბიბლიოთეკის თანამშრომლების ძალისხმევით ასე არ მოხდა. არადა, ეს შენობა ისტორიულია და მას 100 წლის ისტორია აქვს. იგი ცნობილმა მეცენატებმა, ძმებმა ზუბალაშვილებმა აჩუქეს ქალაქს, მერიამ კი მეცენატების ნაჩუქარი ბიბლიოთეკა წაართვა საკუთარ ხალხს.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ პრესკონფერენციაზე შეკრებილი იყვნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მკითხველები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და არ იყვნენ თვით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები... შეხვედრაზე გვიან მოსულმა ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნანა ბიწაძემ (მან შემთხვევით გაიგო ამ პრესკონფერენციის შესახებ) განაცხადა, თითქოს ბიბლიოთეკას არავითარი საშიშროება არ ემუქრება და ეს ატეხილი ხმაური უადგილოა. უფრო მეტიც, მან უკმაყოფილება გამოთქვა იმაზე, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ხელმძღვანელები საქმის კურსში არ ჩააყენეს და ისე გამართეს პრესკონფერენცია.

ქალბატონ ნანა ბიწაძის საუბარს დარბაზში მწვავე კამათი მოჰყვა. ისინი შეწუხებული არიან ბიბლიოთეკის ბედით და მომავალში კანცელარიასთან საპროტესტო აქციის გამართვაზე შეთანხმდნენ.

– არ ვიჩქაროთ კანცელარიასთან მისვლა. უფრო ცივილური ფორმებით ვიბრძოლოთ ბიბლიოთეკის გადასარჩენად, – თქვა ბიბლიოთეკის მკითხველმა, ისტორიკოსმა ერეკლე საღლიანმა და დასძინა, რომ ამ შენობის გასხვისება არ უნდა მოხდეს. თითქოს, საუბარია, რომ ბიბლიოთეკა სხვაგან დაბინავდეს, მაშინ ეს ბიბლიოთეკა არ იქნება ისტორიული ძეგლი. ჩვენ მოლაპარაკება უნდა ვაწარმოოთ იმ ხალხთან, ვინც ეს შენობა შეისყიდა. ბიზნესმენები გონს უნდა მოეგონ, – ამ ბიბლიოთეკაში იჭედება ერის ბედი...

შეხვედრაზე, ერთი სანდომიანი ქალბატონი გამოირჩეოდა, იგი ამავე ბიბლიოთეკის მკითხველი, მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი აულა გიგაური გახლდათ.

– ძალზე ბუნდოვანი სიტუაციაა, სასამართლო უკვე შედგა, გამოსახლებაზე გადაწყვეტილება მიღებულია, მოვა აღმასრულებელი და კანონით დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს. ჩემი მხრიდან დიდი სითამამეა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისთვის ეს ყველაფერი თავიდან ცნობილი იყო, მაგრამ თავი შეიკავეს და „ძლიერი მხარის“ გვერდით დადგნენ: პრივატიზება ისე მოხდა, რომ თანამშრომლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ბუნებრივია, გარიგება შედგა ხელმძღვანელებსა და ბიზნესმენებს შორის. ამას თქვენ თვითონ კარგად ხედავთ დღეს. თანამშრომლები და ხელმძღვანელები საერთო საქმისთვის ერთად არ იბრძვიან. თანამშრომლები ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს არ ენდობიან. ამიტომაც არ იყვნენ ხელმძღვანელები ინფორმირებული. ჩვენი თხოვნაა, მერიის განათლებისა და კულტურის სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად იმოქმედონ და გაითვალისწინონ დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესები, გადაარჩინონ ეს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი.

შეხვედრაზე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა თინა ჩაგანავამ წაიკითხა ამ პრობლემის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, დედაქალაქის საკრებულოს წევრის სევდია უგრეხელიძის წერილი, რომლითაც კომისიამ კანონიერების დაცვის გენერალურ ინსპექციას მიმართა. ირკვევა, რომ ბიბლიოთეკის შენობა მართლაც წარმოადგენს ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლს და მისი პრივატიზაციისას აუცილებელი იყო ძეგლთა დაცვის გენერალური ინსპექციის თანხმობა. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად ძეგლის სტატუსისგან და სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკა არის სახელმწიფო ზედამხედველობის და ზრუნვის ობიექტი. დაირღვა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ და დაისვა აღნიშნული ქონების მერიისთვის დაბრუნების საკითხი.

ყველაფერი ნათელია, მაგრამ წიგნის მოძულენი, დღეს ბიბლიოთეკას მაინც გაქრობით ემუქრებიან. თუ წინა წლებში უკანონო პრივატიზების შედეგად კულტურისა და განათლების ობიექტებს ეშმაკები დაეპატრონენ, იქნებ ქალაქის ახლად დანიშნულმა მერმა მაინც აღადგინოს სამართლიანობა და გააუქმოს წინამორბედთა უკანონო გადაწყვეტილება.

ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა, როგორც უნიკალური წიგნთ საცავი და ისტორიული კულტურის ძეგლი დედაქალაქს უნდა დაუბრუნდეს.

ნანა სულავა

ინფორმაცია

## საზოგადოებრივი არხი კვლავ „უპატრონოდაა“...

**საზოგადოებრივი მაუწყებლობა ისევ ახალი ხელმძღვანელის მოლოდინშია. საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭომ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის არჩევის თაობაზე გუშინდელ სხდომაზე ვერ მიიღო. ამ პოსტზე ხელახალი კონკურსი იწყება იგივე კრიტერიუმებითა და პირობებით. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 6 აგვისტომდეა.**

**ოთხ კანდიდატს შორის არჩევანი ვერც ერთზე ვერ შეჩერდა. მიზეზად ის გარემოებაც დასახელდა, რომ კანდიდატებს არა აქვთ მართვის სათანადო გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა 2 ხმა მიიღო ერთ-ერთმა კანდიდატმა ბადრი კოპლატაძემ. მათ სხვა კანდიდატებისთვის ხმის მიცემაზე თავი შეიკავეს.**



**საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად კვლავ ზაზა შენგელია რჩება, სამეურვეო საბჭომ მისი თხოვნა გათავისუფლებაზე არ დააკმაყოფილა. მიიჩნია, რომ სწორედ ზაზა შენგელიაა პასუხისმგებელი იმ ფინანსურ დარღვევებზე, რაც საზოგადოებრივ ტელევიზიაში გამოვლინდა. თავისი მემკვიდრეობა ახალ ხელმძღვანელს მან უნდა გადააბაროს.**

## ასპარეზი – მეტროს სადგურები

**თბილისში არსებულ მეტროპოლიტენის ყველა სადგურში გუშინ 12 საათიდან საინტერესო კულტურული ღონისძიებები იმართებოდა – წარმოდგენილი იყო ალტერნატიული ხელოვნება, სლაიდ-შოუები, ვიდეო-ინსტალაციები, ფოტოგამოფენები, მხატვრული და ანიმაციური ფილმების ჩვენება. ღონისძიება კი ღამის 12 საათზე მეტროსადგურში „თავისუფლების მოედანი“ აქცია „არტ-ანდერგრაუნდი ტერორიზმის წინააღმდეგ“ ლიკა ალადაშვილის მოდების ჩვენებით, სახელწოდებით „მე შემიძლია გავიარო ჩემს ქალაქში ფეხშიშველი და არ მეშინოდეს“, – ოფიციალურად დაიხურა. გარდა ამისა, საღამოზე ტამ-ტამ შოუმ და ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ მიიღეს მონაწილეობა.**

**ლიკა ალადაშვილის ბოშური კოლექციის ჩვენება სექსუალური ელემენტებით იქნა წარმოდგენილი. მეტროსადგურში 20-მეტრიანი პოდიუმი დაიდგა. ალადაშვილის სამოსი სუხიშვილების მოცეკვავეებმა და 15-მდე სხვადასხვა მოდელმა წარმოადგინეს.**



**საღამოს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და შოუ-ბიზნესის წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

**ღონისძიების ორგანიზატორები არიან ილია ზუკაკიშვილი, გია გუგუშვილი, ლიკა ალადაშვილი, გოგა შამათავა, დედაქალაქის ხელოვანთა ჯგუფი და საქართველოს კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი.**

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი სეღთან სოსნალიევი იმუქრება...

**– 1992-1996 წლებში თქვენ უკვე გეკავათ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი. რა ცვლილებები შენიშნეთ აფხაზურ არმიაში, როცა კვლავ დაბრუნდით ამ პოსტზე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ?**

– მე აფხაზეთში ვიმყოფები 1992 წლიდან. მაშინ ის-ის იყო ყალიბდებოდა აფხაზური არმია და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა პირდაპირ ბრძოლების დროს, იქმნებოდა შტატები, და იგი ომისშემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

ამ პოსტზე დაბრუნების შემდეგ შევნიშნე მრავალი გარდაქმნა უკეთესობისკენ. რა თქმა უნდა, როცა რაიმე საქმეს აქვს დადებითი მხარე, უარყოფითი მხარეებიც აუცილებლად იქნება. აღვნიშნავ, რომ არმიის შტატი, მისი სტრუქტურა მთლიანად ორგანიზებული და კარგად შემუშავებულია. ზუსტად ხორციელდება მოქალაქეთა გაწვევის პროცესი, მოქმედებს საერთო-სამეთაურო, საჯარისო საშუალო სასწავლებელი.

აფხაზეთი ნელ-ნელა ფეხზე დგება – ვითარდება ტურისტული ბიზნესი, მრეწველობა, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში შედის. ბუნებრივია, რომ ეს გავლენას ახდენს არმიის მომარაგების გაუმჯობესებაზე და მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლებაზე. ეს დადებითი მხარეებია.

ახლა რაც შეეხება მინუსებს. საკმაოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ (12 წელზე მეტი) შეიარაღებული ძალების და რეზერვის რიგებში არასაკმარისად არის წარმოდგენილი ის კონტინგენტი, რომელიც მონაწილეობდა თავის დროზე საომარ მოქმედებებში. ერთი სიტყვით, საბრძოლო გამოცდილების მქონე კონტინგენტი შემცირდა. ახალ თაობას კი, რომლებიც იმ დროისთვის 6-7 წლის ბიჭები იყვნენ, არ უნახავთ ყოველივე ეს. მათ, ბუნებრივია, სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მიმართ. რა თქმა უნდა, დისციპლინა აფხაზურ არმიაში გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში, მაგრამ ახალგაზრდები ზოგჯერ მთლად სერიოზულად არ ეკიდებიან არმიაში გაწვევის კამპანიას, არღვევენ საჯარისო დისციპლინას.

**– თუ არის დღეს აფხაზური არმია მზად იმისთვის, რომ უზრუნველყოს რესპუბლიკის მოქალაქეების უშიშროება. თუ არსებობს პრობლემები არმიის აღჭურვისა და მოდერნიზაციის თვალსაზრისით?**

– თუ ჩვენი სავარაუდო მტრები, თუნდაც ერთი წამით დაეჭვდებიან იმაში, რომ ვერ გავცემთ ღირსეულ პასუხს ნებისმიერ აგრესიას, აქ ხვალვე დაიწყებოდა საომარი მოქმედება. დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ ყველა ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სამშვიდობო პოლიტიკური პროცესის ფარგლებში. მაშინ, ნება მიბოძეთ, ვიკითხო: რატომ ემზადება ასე გულდასმით ჩვენი მოწინააღმდეგე, რატომ იწვევს ამერიკელ, და არა მარტო ამერიკელ ინსტრუქტორებს. ყოველივე ეს კეთდება იმ მიზნით, რომ ისარგებლონ მომენტით, როცა ჩვენ ვერ შევძლებთ აგრესიის მოგერიებას, ან საკუთარი თავის დაცვას. ჩვენი არმია შედგება არა 18 წლის ბიჭებისგან, რომლებსაც ვიწვევთ დღეს, არამედ მთელი ხალხისგან. აფხაზეთის ნებისმიერი 55 წლის ასაკამდე მოქალაქე, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება, რეზერვისტად ითვლება. მათ შინ აქვთ იარაღი და პირველი მოწოდებისთანავე აისხავენ მას.

**– როგორი ურთიერთობა გაქვთ სამშვიდობო ძალებთან?**

– სამშვიდობო მისიას ასრულებს ერთი ქვეყანა – რუსეთი. პრობლემები, რომლებიც ამჟამად არის წამოჭრილი, საერთოა, ჩვენ ვცდილობთ მათ გადაჭრას, რადგან კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოგვცემს უფსკრულში გადაჩეხის შესაძლებლობას, არის სამშვიდობო ძალები.

**– საქართველოს მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ სურს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში იხილოს სხვა ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტებიც. საქართველო აშკარად არ ეწინააღმდეგება სამშვიდობო მისიის ფორმატის შეცვლას. როგორია ამ საკითხში აფხაზური მხარის პოზიცია?**

– აფხაზური მხარე ყოველთვის ხელმძღვანელობს რეალური გამოცდილებით და ყოველივე იმით, რაც უკვე რეალურად მოხდა. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსი სამშვიდობოები აქ დგანან უკვე 12 წელია, და მათი წყალობით შეტაკებები არ მომხდარა. ჩვენ ამას ვხედავთ. სამაგიეროდ, არ ვიცით, თუ ვისი ხილვა სურთ აქ ქართველებს და რისთვის – კიდევ ვიმეორებთ, ჩვენ ეს არ ვიცით, თუმცა, ვხვდებით.



**– თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ როცა რუსეთი გაიყვანს ჯარებს საქართველოდან, მათ ადგილზე შეიძლება აღმოჩნდეს ნატოს ბაზები?**

– პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, არსებობს დროებითი ინტერესები. და ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას ვითვალისწინებთ. მთავარია ერთი რამ: აფხაზეთის ოფიციალური პოლიტიკური კურსი არის დამოუკიდებლობა. ხვალ თუ ზეგ, შესაძლოა, ეს კურსი ვიღაცას უკვე აღარ აძლევდეს ხელს. მაგრამ ჩვენი კურსი გამოაცხადა პრეზიდენტმა და რესპუბლიკის ხალხი არ აპირებს მას გადაუხვიოს.

**– რა კომენტარს გაუკეთებდით თურქულ სეინერთან დაკავშირებულ ინციდენტს? როგორი იქნება აფხაზური მხარის რეაგირება შემდგომში ასეთ შემთხვევებზე?**

– თქვენთვის ჩინებულად არის ცნობილი, რომ სულ ცოტა ხნის წინ ნეიტრალურ წყლებში საქართველოს მხარემ დააკავა გემი, რომელსაც აფხაზეთში მოჰქონდა ფქვილი და სხვა მატერიალური დახმარება. გემი ფოთის ნავსადგურში მიიყვანეს. დე-იურე ჯერ კიდევ არსებობს აფხაზეთისთვის გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადა. საინტერესო რამ გამოდის – გამოცხადებულია ბლოკადა, იტაცებენ ტვირთს, და ყოველივე ამას აკეთებს ის მხარე, რომელიც თავის დროზე, აგრესორი იყო. საქართველო არ ასრულებს მსოფლიო გაერთიანების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. ეს ყველამ ჩინებულად იცის. უკვე არაფერს ვამბობ მესხეთელ თურქებზე. ხოლო როცა საქმე აფხაზეთს ეხება, ქართველები იწყებენ ლაპარაკს მრავალ ათას ლტოლვილზე და ეწევიან მეკობრეობას ზღვაზე. ჩვენ მათ შეგვიძლია შევახსენოთ, თუ რა მოხდა 1992-1993 წლებში, როცა აფხაზური მხარე აკავებდა ქართულ ხომალდებს, რომლებსაც სამხედრო ტვირთი გადაჰქონდა. ჩვენ ახლაც შეგვიძლია ამის გაკეთება, მაგრამ თავს ვიკავებთ, რადგან, სავალდებულოდ მიგვაჩნია ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულება...

**(იბეჭდება შემოკლებით).**

REGNUM

ტურიზმი

# „ბუნების სიბრძნე“ იაპონიაში

**ტურისტული ბიზნესი საქართველოში მთლიანად კერძო კომპანიების ხელშია. უწინ, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ტურიზმს, როგორც ყველა სხვა დარგს, სახელმწიფო განაგებდა. ახლა კი ჩვენი ეროვნული ტურისტული კომპანიები მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად არიან, თუმცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არსებობს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, რომელიც, შესაძლებლობისდაგვარად, დახმარებას უწევს ქართულ ტურისტულ ფირმებს თავიანთ საქმიანობაში. რაში გამოიხატება ეს დახმარება კონკრეტულად? — ამ კითხვით მივმართე დეპარტამენტის მარკეტინგის მართვის სამმართველოს უფროსს გოჩა კობერიძეს.**

— ჩვენი მიზანია დავეხმაროთ სამამულო კომპანიებს საქართველოში ტურისტების მაქსიმალურად მოზიდვასა და შიდა ტურიზმის განვითარებაში, — თქვა გოჩა კობერიძემ, — ამავე დროს, ხაზი მინდა გავუსვა, რომ დეპარტამენტის ფუნქცია არ გახლავთ ე. წ. „გამყვანი“ ტურიზმის ხელშეწყობა. შიდა ტურიზმის განვითარება კი იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქისა და რეგიონების სტრუქტურა განვავითაროთ ისე, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა საზღვარგარეთის კურორტებს, უმეტესად, ადგილობრივი დასასვენებელი ადგილები არჩიონ.

ცხადია, მეტი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანები ცდილობენ დასასვენებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კურორტებზე წასვლას, რაც სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ბატონ კობერიძის თქმით, **ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უწინარესი ამოცანაა საქართველოში რაც შეიძლება მეტი ტურისტის ჩამოყვანა და ადგილობრივ დამსვენებელთა ჩვენსავე კურორტებზე მოზიდვის ხელშეწყობა.**



მარკეტინგის სამმართველოს მთავარი დატვირთვა კი ის გახლავთ, რომ მან უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეკლამა საზღვარგარეთ, რათა იგი უფრო მიმზიდველი იყოს უცხოური ტურისტული ბაზრისთვის. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფომაც უნდა შეასრულოს. წინა წლებში ამის გაკეთება ვერ ხერხდებოდა უმთავრესად ფინანსური პრობლემების გამო, ამიტომ საქართველოს, როგორც უცხოური ტურიზმისთვის მიმზიდველი ქვეყნის, რეკლამირება საზღვარგარეთ ცალკეული (სამწუხაროდ, ძალიან მცირერიცხოვანი) სამამულო ტურისტული კომპანიების ძალისხმევით ხდებოდა. ეს, კერძოდ, იმაში გამოიხატებოდა, რომ თავიანთი მომსახურების რეკლამირებასთან ერთად მათ მთლიანად საქართველოს, როგორც ტურიზმისთვის მიმზიდველი ქვეყნის, პროპაგანდა უწევდათ.

**ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ასეთი გარჯა, ცხადია, ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ სულ სხვაა, როცა ჯერჯერობით არცთუ ძალიან მლიერ სამამულო ტურისტულ კომპანიებს გვერდში სახელმწიფო ამოუდგება.**

— დღესდღეობით კი, როცა ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა და სახელმწიფოს აქვს საშუალება, ტურისტულ კომპანიებს გარკვეული დახმარება აღმოუჩინოს, ამას მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს წარმოჩენისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — აღნიშნა სამმართველოს უფროსმა, — მინდა გითხრათ, რომ ბაზარზე უმთავრესი გახლავთ საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქალაქში ტარდება.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ასეთ ფართო საერთაშორისო ასპარეზზე პირველად შარშან, ლონდონის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე გავიდა. წლეულს კი საქართველოს ტურისტული ბიზნესი დეპარტამენტის ხელშეწყობით სხვადასხვა სააგენტოებმა წარადგინეს მილანის, მიუნხენის, სტამბოლისა და ბერლინის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზე. ასევე დეპარტამენტის ხელშეწყობით ქართულ ტურისტულ კომპანიებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთი შეთავაზებები გაეცნოთ იაპონიაში, ქალაქ ნაგოიას მახლობლად აიჩიში „ექსპო-2005“-ის მნახველთათვის.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე საბა კიკნაძე საქართველოს სტენდის გენერალური კომისიონერია, ხოლო მენეჯერია საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დავით ნოზაძე. „ექსპო-2005“ ქართული სტენდის არსებობა გახლავთ იაპონიაში (და არა მარტო იქ) საქართველოს რეკლამირების საუკეთესო საშუალება, ვინაიდან ასეთი მასშტაბის გამოფენებზე ყველა ქვეყანას, უწინარესად, გამოაქვს ის, რითაც სხვების წინაშე თავის მოწონება შეუძლია. კავკასიურ პავილიონში საქართველო სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად არის წარმოდგენილი და ჩვენი გამოფენის „სლოგანია“ „ბუნების სიბრძნე“.




ამასთან, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, უმეტესწილად, მაინც საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზეა ორიენტირებული და წლეულს კიდევ ორ მათგანში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც კვლავ ლონდონსა და კიდევ ტოკიოში გაიმართება.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ტურისტულ ბიზნესს ორგანულადაა მიბმული ეკონომიკის მრავალი სხვა დარგი, კერძოდ, სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით სამგზავრო გადაზიდვები, სასტუმრო და კვების მომსახურება, საკომუნიკაციო საშუალებები, სადაზღვევო საქმიანობა, გართობის სფერო და ა.შ. ამდენად, ტურიზმი, ფაქტობრივად, შეხებაშია ქვეყნის მთელ ინფრასტრუქტურასთან. ამიტომ, როცა, ვთქვათ, ევროპის რომელიმე ქვეყანაში გაიზრდება საქართველოთი, როგორც ტურიზმისთვის მიმზიდველი ქვეყნით, დაინტერესება, ეს, თავის მხრივ, გაზრდის თუნდაც ჩვენი ავია და სარკინიგზო, ანდა სადაზღვევო კომპანიების შემოსავალს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ტურისტული რეკლამირება ასევე მათი ინტერესთა საგანიცაა.

— თავდაპირველად, საქართველოს ტურისტული კომპანიები საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ, თუმცა ეს საკმაოდ ძვირი „სიამოვნებაა“, — განაგრძობს ბატონი კობერიძე, — ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, მათთვის დახმარება გაგვეწია და ამჟამად ასეთ გამოფენებში მონაწილეობა მათ გაცილებით იაფი უჯდებათ. ამან შედარებით მცირე ფინანსური შესაძლებლობების ტურისტულ კომპანიებს შესაძლებლობა მისცა, ასევე მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი შეთავაზებების რეკლამირებაში.

**— ტურისტული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, თუნდაც მან იქ კონკრეტული ხელშეკრულება ვერ გააფორმოს და რომელიმე უცხოურ პარტნიორთან უშუალო კონტაქტი ვერ დაამყაროს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ გაწეული ხარჯი ფუჭია. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი შესაძლოა, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ გაჩნდეს და მაშინ პარტნიორის ძებნას უცხოური კომპანიები სწორედ გამოფენა-ბაზრობების კატალოგებში დაიწყებენ...** ამდენად, თავისთავად კატალოგში მოხვედრა ტურისტული ფირმისთვის მეტად სასურველია, ვინაიდან ამ გზით პოტენციურ პარტნიორს ერთგვარად „არიადნას ძაფს“ აძლევს ხელში.

საქართველოს რეკლამირების მეორე გზაა ამ თემატიკაზე მომუშავე უცხოელი ჟურნალისტების, ხოლო მომდევნო ეტაპზე — ტუროპერატორების ჩამოყვანა, მათთვის ქვეყნის ტურისტული პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის გაცნობა. რამდენიმე დღის წინათ სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდნენ საქართველოში ჩვენი უკრაინელი კოლეგები, რომლებიც მოგზაურობით დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. იმედია, რომ თავიანთ კარგ შთაბეჭდილებებს ისინი უკრაინის მოსახლეობასაც გაუზიარებენ, რაც ხელს შეუწყობს ამ მოძმე ქვეყნიდან საქართველოში კიდევ უფრო მეტი სტუმრის მოზიდვას. ანალოგიური პროექტი წლეულს ნოემბერში განხორციელდება გერმანული მასმედიის წარმომადგენლებთან, შემდგომ კი „ინგლისური“ პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი...

— ზოგადად, ქვეყანამ ტურიზმი რომ განავითაროს ან ზღვა და პლაჟი, ან მთა უნდა ჰქონდეს, ანდა შესაბამისი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის პატრონი უნდა იყოს, — ხალისით განაგრძობს ბატონი გოჩა, — მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ სამივე ეს კომპონენტი გვაქვს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი ისაა, თუ რა მდგომარეობაშია სამივე პოზიცია და ვისთან მოგვიწევს კონკურენცია.

საზღვაო ტურიზმის მხრივ, საქართველო, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის გამო, მეზობლებს, კერძოდ, თურქეთს, საბერძნეთს, ბულგარეთს, სხვებს, ჯეროვან კონკურენციას ვერ გაუწევს. ამიტომ, ამ სახეობის ტურიზმში პოტენციური ტურისტები უნდა ვეძიოთ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე ნაწილობრივ უკრაინასა და რუსეთში. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურისტული მოგზაურობის ფასს, რომელიც სერვისთან შესაბამისი უნდა იყოს. სამწუხაროა, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით გადაჭრილი არ არის, ვინაიდან ჩვენნაირი დონის მომსახურება იმავე თურქეთში გაცილებით უფრო იაფია.

ამდენად, ცხადია, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს მთისა და კულტურულ-ისტორიულ ტურიზმზე, სადაც საქართველოს ამჟამად გაცილებით უფრო ძლიერი პოზიციები აქვს. ამას, თუნდაც, დედაქალაქში ბოლო დროს მომრავლებული როგორც მაღალი კლასის ვარსკვლავიანი, ასევე მცირე ოჯახური სასტუმროები იძლევიან.

საერთოდ კი, სტუმარს ქართველი კაცი ყოველთვის უფლის გზავნილად აღიქვამდა და ღმერთმა ქნას, მომავალშიც ასე იყოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

მშობლიური სახელები

# ისტორია თვალია სიბრძნისა...

**იოანე ბატონიშვილი**

**„ტოპოს“ — ადგილი, „ონიმა“ — სახელი, აქედან — „ტოპონიმიკა“ — ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებებს.**

**სპეციალისტებს თუ მოვუსმენთ, მეცნიერების ამ დარგის კვლევა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის, ხალხის, ერის ისტორიის შესწავლის საქმეში:**

„ტოპონიმიკა დედამიწის ენაა. იგი ფართოდ გაშლილი წიგნია, რომელშიც მისი შემქმნელი ხალხის ცხოვრების გზაა ასახული...“

„გეოგრაფიული სახელწოდებანი ისეთი მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყნის ისტორიული წარსულის, ხალხის სამეურნეო საქმიანობის, ყოფა-ცხოვრებისა თუ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად, როგორიც არქეოლოგიური მასალა, არქიტექტურული ძეგლები, ეპიგრაფიკა, წერილობითი წყაროები...“

„...ბევრი ჩვენი ტოპონიმი უკვე რამდენიმე ათასეულ წელს ითვლის. რაც ძველია ტოპონიმი, მით უფრო დაბინდულია მისი შინაარსი. ამიტომაც სჭირდება მას ფრთხილი კვლევა-ძიება...“

„...შეიძლება პირისაგან მიწისა აღიგაონ ხალხები და მათი ენები, მაგრამ ტოპონიმურ სახელწოდებებს შეუძლიათ ათასწლეულებს გაუძლონ...“

ეს სიტყვები ქართველ და უცხოელ მეცნიერთა (პ. ცხადაია, უ. სახლთუხუციშვილი, კ. ხარაძე, ვ. სერებრენიკოვი) ნაშრომებიდანაა ამოკრეფილი და მათში თვალნათლივ ჩანს მეცნიერების ამ დარგის შესწავლის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელი ფაშისტები ყოველნაირად ცდილობდნენ, დაევიწყებინათ დაპყრობილი პატარა ერებისთვის საკუთარი ისტორია, საკუთარი ქვეყნის ბიოგრაფია. ასე იყო ოდითგან, მტერი მუდამ ცდილობდა, „მათებური სახელი“ დაერქმია გადათელილი ქვეყნების გეოგრაფიული სახელებისთვის. ამის უამრავი მაგალითი შემოგვრჩენია დღევანდელი საქართველოს ძირძველ მიწაზე. თვალსა და ხელს შუა გაქრა არაერთი „ფართოდ გადაშლილი წიგნი...“ სამაგიეროდ, დამკვიდრდა უცხო თესლი, უცხო სახელი, უცხო შინაარსი და, სამწუხაროდ, ხშირად ჩვენვე ვუწყობდით ყოველივე ამას ხელს!

მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

**ულიანოვკა** — სოფელი სიღნაღის რაიონში. ეს სახელი მას კომუნისტებმა შეარქვეს. მანამდე კი **კალმეჩური** ერქვა. კალმეჩა ერთ-ერთი ქართველი გმირის მეტსახელია. სწორედ აქაურები აუჯანყდნენ 1802 წელს რუსეთის თვითმპყრობელობას ერეკლე მეფის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების აღდგენის მოთხოვნით. ამ ადგილებში მოხდა ქართველთათვის სამარცხვინო ომი თეიმურაზ პირველსა და როსტომ მეფეს შორის 1654 წელს.

**იაღლუჯა** — აშკარად არაქართული ფორმაა. ქართველები ამ ადგილებს დიდებულ სახელს **ლომთაგორას** უწოდებდნენ.

**ქოროღლის ციხე** — „ქოროღლუ“ აზერბაიჯანული ხალხური საგმირო-რომანტიკული ეპოსის გმირი — „კეთილშობილი ყაჩაღი“! ქართულად ქოროღლის ციხეს **კოჯრის ციხეს** ან **აზეულას ციხეს** უწოდებდნენ. დგას თრიალეთის ქედის მწვერვალ აზეულზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე.

**იალნო** — მთა (ქედი) თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე იორსა და არაგვს შორის. ამ მთაზეა ზედაზნის არქიტექტურული ძეგლი. ვახუშტი ბაგრატიონი „იალონს“ უწოდებს. გადმოცემით ამ მთის თავზე ღრუბლების მოძრაობისა და ინტესიურობის მიხედვით წინასწარმეტყველებდნენ ამინდს. ამ მხარეში ეს გადმოცემა დღესაც ცოცხალია. შევადაროთ: — სამეგრელოში „იალონს“ „ოჭვიმარეს“ ეძახიან, ჭვიმა — წვიმაა, აქედან იალონ — ოჭვიმარეზე დაკვირვებით წინასწარმეტყველებდნენ იმ დღის ამინდს. ასე რომ, ვახუშტი არ ცდება, როცა ამ მთას (ქედს) **იალონს** უწოდებს.

**აალზგა** — აფხაზები უმართებულოდ უწოდებენ მდინარე ღალიძგას და სოფელს ასე. მეგრულში „ღალი“ მდინარეს, ღელეს ნიშნავს, „ძგა“ — კიდეს, ნაპირს. აქედან — **„ღალიძგა“** სოფელი, გეოგრაფიული ადგილია ღელის, მდინარის პირას. მოგვიანებით ეს ტოპონიმი მდინარესაც ეწოდა.

**ოქუმი** — გალის რაიონის სოფელი. აქაურ მდინარესაც ოქუმი ჰქვია. სოფლის სახელდებისთვის ამოსავალია მეგრული. სიტყვა „ქუმუ“. იგი ქართული „ქუმელ“ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია. ქუმელი აღმოსავლეთ საქართველოში მოხალული მარცვლის ფქვილსაც ეწოდება და დანაყილი სელის სანელებელსაც. სამეგრელოში კი „ქუმი“ სელსაც აღნიშნავს და ჭვავსაც. აქედან: — „ოქუმი“ ადგილი სადაც ჭვავი და სელი ხარობს.

ბოლო დროს, გასაგები მიზეზების გამო, აფხაზები მასობრივად ცვლიან უძველეს ქართულ ტოპონიმებს და აფხაზურს არქმევენ...

როგორც ჩანს, აფხაზური სეპარატიზმი, ისევე როგორც ოდითგან ათასი არაკეთილმოსურნე, ისტორიის გაყალბებითაც ცდილობს მიზნის მიღწევას.

**ზაურ ფიფია**

ინფორმაცია

## ქუთაისის ვიცე-მერი აიძულეს...

**ქუთაისის ვიცე-მერი ბესიკ ბრეგაძე გადადგა. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, მან იძულებით დაწერა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება. ამის მიზეზი ქუთაისის მერიასთან გარე მოვაჭრეების მიერ გამართული აქცია გახდა, პოლიციამ აქციის ორგანიზატორი სამი ადამიანი დააკავა, მათ შორის ორი ქალბატონი.**

**ვიცე-მერი სამართალდამცველებს ქალბატონების გათავისუფლებას სთხოვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ქაჯაიამ განუცხადა, აღნიშნული ფაქტი ცენტრალური ხელისუფლებისთვის გახდა ცნობილი, რის გამოც მათ დაჟინებით მოითხოვეს ბრეგაძის გათავისუფლება.**

**თავად ყოფილი ვიცე-მერი აცხადებს, რომ მისი**



**გათავისუფლების მოთხოვნით ქუთაისში შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი არველაძემ დარეკეს.**

## გადახარჯვაში ადანაშაულებენ

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სარეზერვო ფონდის გადახარჯვაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ განცხადება გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე, მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა თამარ ხიდაშელმა გააკეთა.**

**მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მიხელ სააკაშვილის სარეზერვო ფონდი გასულ წელს 10 მლნ. ლარით განისაზღვრა, თუმცა ივნისის მდგომარეობით პრეზიდენტს დახარჯული ჰქონდა 26 მლნ. ლარი. 2005 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს დაემატა მთავრობის სარეზერვო ფონდი და „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, ორივე ფონდის მოცულობამ მთლიანობაში 25 მლნ. ლარი შეადგინა.**

**4 აპრილის მდგომარეობით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დასახარჯად პრეზიდენტის მიერ გაცემული თანხები თითქოს 2,5-ჯერ გასცდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ 10 მლნ. ლარს და 26 მლნ. ლარს გადააჭარბა.**

**აუცილებელი გახდა „ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა და მარტო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის გაზრდა 25 მლნ. ლარამდე. ამის პარალელურად 20 მლნ. ლარამდე გაიზარდა მთავრობის სარეზერვო ფონდიც.**

**„სარეზერვო ფონდის შექმნის მიზანს კანონის მიხედვით საგანგებო და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაგეგმვა წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წელს გაზაფხულზე მომხდარი სტიქიის შედეგად დუშეთში დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად პრეზიდენტს სარეზერვო ფონდიდან მხოლოდ 4 000 ლარი აქვს გამოყოფილი, როცა მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან 3 მლნ. ლარი გამოყო“, — აღნიშნა ხიდაშელმა.**



ინტერპრესნიუსი

დედაქალაქი

# მხოლოდ სიყვარულით ნაკარნახევი მოსაზრებები

## სახელმწიფოსა და თბილისის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

*ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ქალაქისა, მუდამდღე ფიქრობს მასზე: გონებაში ეფერება, სამომავლო პერსპექტივებს აფასებს, აშენებს, ამშვენებს...*

*თბილისი ჩვენი საფიცარია.*

*მეც, რომელიც უკვე ხუთი ათეული წელია დავაბიჯებ ამ გასაოცარ ქალაქში, საკმაოდ დამიგროვდა ნაფიქრალ-ნაოცნებარი და ახლა მინდა გავამხილო.*

*რატომ ახლა?*

*ალბათ იმიტომ, რომ ახლა ისევ გამიღვივდა თხუთმეტი წლის წინათ წყალგადასხმული ენთუზიაზმი, ისევ გაჩნდა იმედი შენებისა, მართლად კეთებისა. მგონი, აღარ არის პატრიოტიზმი სირცხვილი, პროვინციალიზმი და ცუდი ტონი.*

*ასე მგონია...*

*ჩემი მოსაზრებები, შესაძლოა, ყველა მისაღებად არ მოგეჩვენოთ, მაგრამ, მენდეთ, ისინი მხოლოდ სიყვარულითაა ნაკარნახევი.*



დავიწყოთ ცენტრალური მოედნით. ვფიქრობ, აქ ბოლო წლებში გაჩენილი შადრევანი უფუნქციოა და თბილისურ ტრადიციებში არ ჯდება. აქ უნდა აღდგეს სიმბოლიკით (სტელა, მცირე არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია და სხვა.) დატვირთული სკვერი, რომელთანაც მისვლა მიწისქვეშა გადასასვლელებით იქნება შესაძლებელი. ეს „გაათბობს“ ამ ადგილს, ფუნქციას და აზრს შესძენს.

**მეორე** რესპუბლიკის მოედანს უნდა შეეცვალოს სახელი. ჩვენი ქვეყანა ამ ზედსართს აღარ ატარებს, ის სახელმწიფოა. იქ, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლია, მოედანს დიდგორის სახელი უნდა ერქვას. დიდგორი უნდა უკვდავვყოთ. ის ჩვენი სიამაყე და ნიშანსვეტია. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროსაც.

**მესამე.** ჩვენ თუ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნას. ზვიად გამსახურდიას სახელი უნდა მიენიჭოს ყოფილ კოლმეურნეობის მოედანს, მოხდეს სკვერის რეკონსტრუქცია და დაიდგას ძეგლი. პუშკინის ქუჩას ეწოდოს მისივე სახელი. გენიალური რუსი პოეტის პატივსაცემად სავსებით საკმარისია მისი უძველესი და შესანიშნავი ბიუსტის არსებობა ქალაქის ცენტრში და მისივე სახელობის მიმდებარე სკვერი. პირველი პრეზიდენტის სახელი უნდა ეწოდოს ახალ აეროპორტსაც.

**მეოთხე.** გმირთა მოედანზე, მის ცენტრალურ ნაწილში მაღალ პოსტამენტზე უნდა დაიდგას გმირი მეფისა და გმირი ქალის, წმიდა თამარ მეფის ქართულ ლაშქარზე მლოცველი სკულპტურა. ეს თამარის გამზირის ლოგიკური გაგრძელება იქნება და ქალაქში შემოსულ სტუმარსაც პირველ და ძლიერ შთაბეჭდილებას შეუქმნის.

**მეხუთე.** კვლავ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი ქუჩების სახელწოდებების მიმართულებით, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთს შევეხები. თავისუფლების მოედნის ირგვლივ დიდი ქართველი პოეტებისა და მწერლების სახელობის ქუჩებია. ეს ძალზე კარგია. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუ ლერმონტოვის ქუჩას ტერენტი გრანელის სახელს მივანიჭებთ. ლერმონტოვს მცხეთაში ვეებერთელა ძეგლი უდგას. გთხოვთ, ნუ ჩამითვლით ამას რუსოფობიაში. მე ძალზე შორს ვდგავარ მსგავსი გრძნობებისგან. ეს, უბრალოდ, პოსტკოლონიური სინდრომისგან განთავისუფლებაა. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსკოვშიც კი თავისუფლდებიან ასეთი მემკვიდრეობისაგან. მათ სრულიად სამართლიანად შეუცვალეს ფალიაშვილის ქუჩას სახელი და ძველი — „სკატერტნაია“ — დაუბრუნეს. მე რუსული კულტურის თაყვანისმცემელი ვარ და ჩემი ეს აზრები ამ პოზიციას ვერ არყევს. მიხარია, რომ თბილისში რჩება ტოლსტოის, გოგოლის, გორკის და სხვათა ქუჩები. დედაქალაქის ცენტრის დაგეგმვას კი, დამეთანხმებით, მეტი სიფრთხილე სჭირდება.

**მეექვსე.** თბილისის ყოველ ქუჩას, მოედანს, უბანს თავისი მრავალწლიანი (მრავალსაუკუნოვანი) ისტორია აქვს. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ბევრმა ჩვენმა თანაქალაქელმა არც კი იცის, ვის ქუჩაზე ცხოვრობს, ადრე რა ერქვა და ა. შ. მე მგონი, დიდ თანხებთან არ იქნება დაკავშირებული, თუ თითოეულ ქუჩას (ისტორიულს მაინც) გაუკეთდება აბრა, სადაც ჩამოწერილი იქნება, რომელ პერიოდში რა ერქვა, როდის და რის გამო მიენიჭა ბოლო სახელი.

**მეშვიდე.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუზეუმებს, მემორიალურ ადგილებს.

ქვეყანა, სადაც მუზეუმი იხურება, განვითარების პერსპექტივას კარგავს. მუზეუმი თავიდან ძნელად აღსაქმელი, ერთი შეხედვით დაუფასებელი, მაგრამ უდიდესი კაპიტალია. თბილისი, ალბათ, ხალხმრავალ ტურისტულ ქალაქად უნდა წარმოვიდგინოთ და მარტო რესტორნებით ვერ შევეგებებით სტუმრებს. უნდა დაფინანსდეს და აღორძინდეს დარგობრივი, ქართული კულტურის ცალკეული, განუყოფელი ნაწილების (მუსიკის და ცეკვის, ღვინის, მედიცინის, სპორტის, კინოსა და თეატრის) და მემორიალური (რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის) მუზეუმები. ამისთვის სახელმწიფომ თავდაპირველი ინვესტიცია უნდა განახორციელოს შესაბამისი ფონდის შესაქმნელად, რომელიც ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად უპატრონებს ამ მნიშვნელოვან სფეროს. ხოლო რუსთაველის პროსპექტი მელიქიშვილის ქუჩითურთ, უნივერსიტეტამდე და დავით აღმაშენებლის პროსპექტი, მიმდებარე ტერიტორიებითურთ, სამუზეუმო ზონად უნდა გამოცხადდეს და აქ, ძირითადად, ასეთივე სახის დაწესებულებები განლაგდეს.

სამწუხაროა, რომ ბევრი რამ უკვე გაიყიდა. სამუზეუმოდ აშენებულმა შენობებმა კი (მაგალითად, სამხედრო მუზეუმი) თავდაპირველი ფუნქცია დაკარგეს.

ეს პრობლემები სასწრაფოდ არის მისახედი.

* * *

**იმედი მაქვს, ჩემი გულწრფელი მოსაზრებები ქვეყნის და ქალაქის ხელმძღვანელობისთვის, თუ მთლიანად და უკრიტიკოდ არა, ძირითადად, ასე ვთქვათ, იდეურად მისაღები იქნება. ასევე, ვიმედოვნებ, რომ მერიისა და თბილისის ფართო საზოგადოების, მისი დაინტერესებული ნაწილის მჭიდრო თანამშრომლობა კეთილ ნაყოფს მოიტანს.**

**რამაზ შენგელია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.**

ნოსტალგია

# ვარდისფერი მიმოზა...

**...სამი წლის წინათ შევხვდით ერთმანეთს მე-14 სკოლელები, ანუ სოლოლაკელები...**
**წელსაც შევიკრიბეთ – მაშინაც და ახლაც თაოსანი ჩვენი მეგობარი, ექიმი ნუნუ გივიშვილი იყო – საოცრად ემოციური, დაუზარელი ადამიანი. არც ისე ადვილია სკოლის დამთავრებიდან 60 წლისთავზე თანაკლასელების თავის მოყრა. თუმცა ნუნუ დღემდე არაერთთან მეგობრობს – თამაზი და შალვა ძმებივით მიყვარს, – გულწრფელად ამბობს იგი ჩხენკელებზე, – თამაზი ჩვენთან იყო – ე. წ. „ბ“ კლასში, შალვა პარალელურ – „ა“ კლასში, – და მიუხედავად „ა“ და „ბ“ კლასებს შორის მუდმივი ქიშპისა, დაირეკებოდა თუ არა ზარი, – შალვა ჩვენკენ გამორბოდა, ჩვენთან ყოფნა უფრო ეხალისებოდა. დღეს შალვაც ცნობილი ექიმი-ენდოკრინოლოგია – პროფესიაც ხელს უწყობს მას ნუნუს განუყრელ მეგობრობაში – მახსოვს, დუშეთში ვეწვიე ახალგაზრდობაში – იქაურ საავადმყოფოში დაიწყო მათი სამედიცინო ნათლობა.**



...სურათებს გადავხედე – I კლასი, IV კლასი, VI კლასი, VIII და IX კლასი...

...ამ სურათში მე რატომ არა ვარ – იჭვნეულად მეკითხება ნუნუ, ხუთეულში რომ არ აღმოჩნდა – ვიცი განა?

ნუნუ ვერცხლის წყალივით იყო, – იოლად ვერ მოიხელთებდი, ჩვენ კი გამოცდების დამთავრებისთანავე გავიქეცით კოზაკის ფოტოგრაფიაში – იყო 1941 წლის 9 ივნისი... რა ვიცოდით მაშინ, რომ ეს სურათი რელიკვიად იქცეოდა – გამოსახსნელადაც ერთად მივედით – 22 ივნისს და იქ, სალონის მოსაცდელში მოვისმინეთ რადიოინფორმაცია – გერმანიამ ომი რომ გამოუცხადა საბჭოთა კავშირს. თავზარი დაგვეცა... გაქრა ღიმილი... მალე მე-14 სკოლა ჰოსპიტლად გადაკეთდა, ჩვენ კი პირველი სკოლის ხიზნები გავხდით...

**...შორეული წარსულიდან**
**რეკავს ნაცნობი ზარი, –**
**სურათზეც ჩნდება ცრემლი,**
**სურათზეც ჩნდება ბზარი...**

ეს ახლანდელი, 17 ივნისის მინაწერია...

– ჩვენი სკოლის წინ ვარდისფერი მიმოზა რომ იდგა, გახსოვთ? – ვეკითხები თანაკლასელებს და ვიგონებთ მე-14 სკოლის ლამაზ შენობას, ნათელ საკლასო ოთახებს, ფართო აივნებს, საყვარელ მასწავლებლებს – ნინო ნასიძეს, ქეთევან ხერხეულიძეს, ვერა გაბლიანს (გივი გაბლიანის დედა), ვასო ქოიავას, კლიმენტი ნოდიას, ლუბა სოხაძეს, თამარ გეგეჭკორს (თამარა ასლანოვნა არწივისებურად რომ გადმოგვხედავდა)... მშვენიერ სილვა ონიანს; ბატონი ვახტანგ ჭელიძე და იაშა ტრიპოლსკიც გვასწავლიდნენ ერთხანს უცხო ენას...

– გუნციკა ხომ გახსოვთ (აკაკი გუნცაძე, ქიმიკოსი), ვერუსია წერეთელი (მათემატიკოსი), – ვამოწმებდით ერთმანეთის მეხსიერებას, – მაგრამ არათუ ყველა მასწავლებელი, თურმე ზოგიერთს თანამერხელიც დავიწყებია, – რა გასაკვირია, წლების მანძილზე გაუცხოებაც ხდება, – თუმცა ამას ვერ ვიტყვი ნოდარ ქებაძეზე, რომელმაც გაზეთ „კალმასობის“ იანვრის ნომერში მათ შორის, ვინც თანატოლებიდან შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა, ანდა ეწევა, მეც მომიხსენია. გვახსოვდეს ერთმანეთი, – ესეც ხომ ნიჭია!..

ამაში კი ნუნუს და შალვას ვერავინ გაეჯიბრება!

...თავად ნოდარი ფრიად სანაქებო კოლექციის პატრონი ყოფილა – ვეფხისტყაოსნის გამოცემების მფლობელი – ეს მართლაც დიდი განძია.

...ორი აკადემიკოსი უზის სამეგობრო სუფრას – ნუგზარ ტაბიძე და გურამ გველესიანი, პროფესორები ვილი კაჭარავა (ნამინისტრალი, ამჯერად თამადა), და ცირა კარგარეთელი (შთამომავლობითი მუსიკოსი – კომპოზიტორ ია კარგარეთელის შვილიშვილი), ექიმები ზინა ქოქაშვილი და ლამარა ჭანიშვილი, – ცნობილი ჟურნალისტი თამაზ ხომერიკი (მწერალ იაკინთე ლისაშვილის უმცროსი ვაჟი). – ბრწყინვალე კაცია, – მეუბნება თამაზი გურამზე, რომელიც მოგვიანოდ გვეწვია, მაგრამ სიტყვა არ გაუტეხია. ვცდილობ, აღვიდგინო მეხსიერებაში მისი ბავშვობის იერი...

– ჭანიკო ფოფხაძეს, ლონდა ღვალაძეს, თენგიზ ნოზაძეს ჭირი მოვჭამე, – სინანულით ამბობს ნუნუ, – ვერ დავიყოლიე... უშანგი ჭიჭინაძეც – ჩვენი სოფა, – მინდოდა ყოფილიყო აქ, – თურმე ავად არის...

...ყველას ვერ გაამტყუნებ... ცნობილი კინორეჟისორის თენგიზ ნოზაძის და მისი მეუღლის – ლატავრა ღვალაძის ოჯახში დიდი ტრაგედია მოხდა – ერთადერთი ქალიშვილი დაეღუპათ – მას აქეთ თენგიზი კარჩაკეტილია... ლატავრა ახლახან ვნახე ჩინებული თბილისელი კაცის – რეზო ტაბიძის გასვენებაზე – მთლად გათეთრებულა... ნუთუ მხოლოდ ჭირის დღეებში გვიწერია შეხვედრა?!. ნუგზარმა მაინც არ დაიხია უკან, – მართალია, უსაყვარლესი ძმა დავკარგე, მაგრამ ვინ რა იცის როდის რა გველის, ერთხელ კიდევ შევხვდეთო, – უთხოვია ნუნუსთვის...

...პორფილე იაშვილიც რომ არ მოვიდა... ეს კი გამიკვირდა – მართალია, წინა შეხვედრაზე ისიც იყო, თამაზ ჩხენკელიც, მაგრამ მას მერე სამი წელი გავიდა. ამიტომაც თქმულა ალბათ, როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო... მათთან ერთად რამაზ პატარიძესაც ველოდით (ბოლო წუთამდე) – გამახსენდა ის ზაფხული, როცა ობჩიდან სიმონეთში ფეხით ამოვიდნენ ის და იაგო ვარდოსანიძე... მერე მე და ჩემმა ბიძაშვილმა – თენგიზმა, რომელიც ძალიან შეამხანაგებული იყო ჩემიანებთან, ყვირილის პირამდე ჩავაცილეთ, საიდანაც ბორნით აჯამეთისკენ გადავიდოდნენ...

...თამაზისთვის ჩემი ბოლოდროინდელი თარგმანებიც მინდოდა მეჩვენებინა – ძველი ახმატოველია, მანვე ითავა მწერალთა კავშირის მთარგმნელობით სექციაში ჩემეული თარგმანების განხილვა; ჯანიკო ფოფხაძე კი ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული მშვენიერი შემოქმედებითი საღამოების თაოსანი იყო... მერე რა, რომ ეს ყველაფერი მეოცე საუკუნის ზარდახშაში აღმოჩნდა...

მე კი გულით გამეხარდებოდა ყველას ნახვა...

ჰო, ლადიძის წყლებთან გვქონდა პაემანი – პირველი ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნუგზარ ტაბიძე მოვიდა – მას თამაზ ხომერიკი მოჰყვა – ვერსად მივაკვლიე რიჩარდ გაგუასო – ცნობილ სპორტულ ჟურნალისტ ოთარ გაგუაზე წუხდა ნუნუ... – ჩვენო რიჩა (ძველებურად სიყვარულით გიხმობ) სად გეძებოთ? რატომ არ გვეხმიანები ხოლმე?..

– გაუმარჯოს უმცროს „გალოდნისო“ – ძმურად ესალმება ნუგზარს თამაზი.

– „გალოდნი“?!

– ჰო, – რეზოს, თემოს და ნუგზარს... ფეხბურთზე „დამშეულ“ ძმებს შევარქვით, ენგელსის ქუჩა აკლებული რომ ჰქონდათ ფეხბურთის თამაშით...

...მეც ენგელსისქუჩელი ვიყავი, ეს კი არ მახსოვდა... ისე, ყველაზე მეტად „ენგელსელები“ ვსწავლობდით მგონი მე-14 სკოლაში, მახსოვს, ჯერ კიდევ პირველ კლასში ყოფნისას კაკო კარანაძისთვის რომ არ შემეძახა, არ იქნებოდა, – ისიც უმალ გამომეხმაურებოდა და ერთად მივდიოდით ხოლმე იქ, სადაც ვარდისფერი მიმოზა იდგა...

... ვარდისფერი როდი აღმოჩნდა ყველასთვის ცხოვრების გზა – ომამდე ხომ 1936-1937 წლების რეპრესიები იყო – არაერთი თანაკლასელი დარჩა უმამოდ, ზოგიერთს კი დედმამა ერთად გადაუსახლეს. უმამოდ, ჭაპანწყვეტით დაზარდეს შვილები დამარტოვებულმა დედებმა. მათ შორის იყო ჩემი უახლოესი მეგობარი ლეილა დათუნაიშვილი, დედაჩემს მეხუთე შვილად რომ მიაჩნდა. მამამისი მხოლოდ იმისთვის გადაასახლეს, რომ და საფრანგეთში ცხოვრობდა – ერთ-ერთი თვალსაჩინო ემიგრანტული ოჯახის წევრი იყო... ლეილა უცნობ მამიდას ხშირად ახსენებდა და როდესაც დიდი ხნის შემდეგ მისგან საოჯახო სურათი მიიღო, სიხარულით გვაჩვენა უკვე ხანში შესული, მაგრამ ისევ მშვენიერი ქართველი ქალის ლიდა ნოზაძის ფერადი ფოტო. ჭაღარაშეურიგებელ მანდილოსანს თმა ცისფრად შეეღება – ჩვენ მას „ცისფერი მამიდა“ შევარქვით...

... ომმა დაჩრდილა ჩვენი ბავშვობა და სიყმაწვილე – ისიც განსაცდელად გვექცა, თანშეზრდილი ქალ-ვაჟნი რომ ერთმანეთს დაგვაცილა. ... ის-ის იყო ზოგში სიყვარულის კვირტი იშლებოდა თურმე... გამხელა კი მავანმა და მავანმა გვიანღა გაბედა – ოცი, ოცდახუთი წლის შემდეგ... როგორც მონანიება... და მაინც, ჩვენ თაობას ტრისტან და იზოლდას ამბავივით შემორჩა რეზო ტაბიძისა და ფატი გობეჩიას ლამაზი რომანი, ლამაზი ოჯახური ცხოვრებით რომ დაგვირგვინდა.

... თანაკლასელები ქათინაურებს არ იშურებენ, განსაკუთრებით ენაწყლიანობს თამადა, რომელმაც მიზანში მის პირდაპირ მჯდომი, ახლაც მშვენიერი, ობლობაში გაზრდილი ნანი კარიჭაშვილი ამოიღო...

... ატყდა ისევ „ა“ და „ბ“ კლასს შორის დავა... აღარ გავიგონო ეს, გადავხაზოთ „ა“ და „ბ“ ბგერები, ისევ ბავშვები ხომ არა ვართ, ხმას აუწია ცირა კარგარეთელმა.

არადა, თიბათვის იმ კვირადღეს ჩვენ მართლაც ბავშვებივით ლაღად ვგრძნობდით თავს... – ეს გუგულივით გოგო იყოო, – მეფერება ნუნუ, – თავიდანვე გვიყვარდა ერთმანეთი, თუმცა ბუნებით ის „ფეთქებადი“ იყო, მე კი მართლაც წყნარი...

ვილი კაჭარავამ ლამის სანახევროდ წაგვიკითხა ეპიზოდები თავისი ახალი წიგნიდან და ეს მეექვსე წიგნიაო – ტრაბახობდა; „სიტყვა, მოწოდებად და ფიცად ქცეული“ – ასე ჰქვია ბუნების ქომაგად ცნობილი ადამიანის წიგნს, რომლის რედაქტორი ყოფილა განსვენებული ზურაბ ქვანია. მასში დაუბეჭდავს თანაკლასელის და უახლოესი მეგობრის რეზო თაბუკაშვილის მცირე პოემაც „ფიფქები პოეტის საფლავზე“, რომლის ხელნაწერი მისთვის უჩუქებია 14 წლის ყმაწვილს ასეთი წინასწარმეტყველური სიტყვებით: „საქართველოს რა არ გადახდენია. ალბათ, რომელიმე ქართველი პოეტი დაიღუპა უცხოეთში და წევს უცხო საფლავში, აყრია უცხო მიწა. დეე, ეს ლექსი იყოს მისი ეპიტაფია“.

ვილი ამაყობს რეზოსთან მეგობრობით. ეს პოემა რეზოს შემდგომი ჭირისუფლური მოღვაწეობის გამოხატულებაცაა და მისი პოეტური დვრიტის ადრეული ნაყოფი.

**„ბებერი მუხა პოეტის საფლავს**
**ისევ დასცქერის ტოტებგაშლილი,**
**და ისევ თოვლი ეშვება დაბლა,**
**შორს ისევ ტირის ქარი ბავშვივით“.**

... რეზო არაერთხელ ახსენეს სუფრაზე, მისი თამადობით შეისვა უდროოდ წასულ თანატოლთა შესანდობარი. ერთი მათგანი იყო ილო ლიაძე, თვითმკვლელობით რომ მოისწრაფა სიცოცხლე – მისი სიყვარულით მეგობრებმა და – ლეილა ლიაძე მოიწვიეს შეხვედრაზე, რისთვისაც დიდი მადლიერება გამოთქვა მან.

– რეზო გივი ნუნუშვილს მეძახდა ხოლმეო, – სევდიანი განწყობილება გაფანტა ნუნუმ, – კინოსტუდიაში რომ მუშაობდა, ერთ კაცთან შუამავლობა ვთხოვე, უმალ დაურეკა – შენთან გივი ნუნუშვილი მოვა, ჩემი უახლოესი პატარა მეგობარი და ერთი პატარა სათხოვარი აქვსო – ჩამეღიმა.... მაგრამ აღარაფერი მითქვამს, – მივედი იმ პიროვნებასთან, თვალები გაუფართოვდა, – ის ხომ კაცს ელოდა...

შეზარხოშებულმა თამადამ თავისი პოეტური შემოქმედების ახმიანებაში, ცოტა არ იყოს, გადააჭარბა, ამას პუშკინი, ლერმონტოვი და გრიბოედოვიც მიაყოლა და რეპლიკებიც ესროლეს – კმარაო! – მაგას ისევ მინისტრი ჰგონია თავიო, – იცინოდა ერთი, – აცალეთ, აცალეთო, – ამბობდნენ სხვანი. ერთი სიტყვით, ღვინომ კრიჭა გაუხსნა მონადიმეთ და ბოლოს ყველა ტკბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს მაინც სევდაშერეული ფიქრით – როდის შევხვდებით კიდევ ერთმანეთს?!

... თბილისელები რუსთაველზე იყვნენ გამოფენილი, ცოტა ხნით ჩვენც გავისეირნეთ. მერე მე და ნუნუ თამაზ ხომერიკთან და გურამ გველესიანთან ერთად ოპერის ბაღში, აკაკის ძეგლთან ჩამოვსხედით – შადრევნის შხეფები იზიდავს დიდსაც და პატარებსაც.

... ოქროს თევზებივით ცურავდნენ მეხსიერებაში მოგონებები...

**ნანა ღვინეფაძე**

2005 წლის მკათათვის 2.

**სურათებზე: „ხუთეული“ – ზინა ქოქაშვილი, ელიკო ცაგარეიშვილი, ლეილა დათუნაიშვილი, ჯანიკო ფოფხაძე და მე; მე-14 საშუალო სკოლის მე-4 კლასელები (1939 წ.) მასწავლებლებთან აკაკი გუნცაძესთან (მარცხნიდან პირველი), ნინო ნასიძესთან (მათ შორის ზის ნუნუ გივიშვილი, ფერხთით თენგიზ ნოზაძე), ქეთევან ხერხეულიძესთან და ვერა გაბლიანთან ერთად (ამათ შორის კი მე). თეთრკაბიანი, ჩაჩოქილი გოგონა ლონდა ღვალაძეა.**



ინფორმაცია

## დააკავეს კონტრაბანდული სიგარეტი

**ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ აფხაზეთიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილი დიდი ოდენობით სიგარეტი დააკავა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველოს უფროსმა აპოლონ კაკაბაძემ განუცხადა, სამართალდამცველებმა მთლიანობაში 21 ყუთი კოლოფი უაქციზო „ტროიკა“, „ნოვოსტი“ და „იავა“ ამოიღეს.**

**დაკავების ოპერაციები ხობსა და მცხეთაში განხორციელდა. კონტრაბანდისტებმა სიგარეტი მდინარით, ნავის დახმარებით გადმოიტანეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა კონტრაბანდით დატვირთული ერთი ავტომანქანა ხობში დააკავა, მეორემ კი გაქცევა სცადა, თუმცა სამართალდამცველებმა მცხეთაში დააკავეს.**



**დაკავებულია ორი მოქალაქე – ზურაბ ოდიშარია და რუსეთის მოქალაქე რომან შამათავა. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდული სიგარეტის შენახვა-რეალიზაციის მუხლით აღიძრა, რაც 5-10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**სიგარეტის რაოდენობა 10 ათას კოლოფს აღემატება და საერთო ღირებულება 10 ათას ლარს აჭარბებს.**

## „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება?“

**კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული ქალბატონი ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს უფროსს სოსო გაბრიჩიძეს ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.**

**საქმე ეხება ფინანსური პოლიციის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდული სიგარეტის შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით დაკავებულ ნათელა მარდალეიშვილს, რომელსაც 30 ათას კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტი „ტროიკა“, „ნოვოსტი“ და „ალიანსი“ აღმოაჩნდა.**

**ნათელა მარდალეიშვილის განცხადებით, სოსო გაბრიჩიძემ იგი ქუთაისის ცენტრში, ფინანსური პოლიციის შენობის წინ რძალთან, ნინო გურჩიანთან ერთად სცემა. რძალ-დედამთილის ახლობლების განცხადებით, ისინი ქუთაისის სხვადასხვა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში არიან მოთავსებული.**

**აღნიშნულ ბრალდებას თავად სოსო გაბრიჩიძე კატეგორიულად უარყოფს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაბრიჩიძემ განუცხადა, ნათელა მარდალეიშვილი მას პირადად არც კი უნახავს და შესაბამისად, ცემის ბრალდება სიცრუეა. რაც შეეხება მარდალეიშვილის საავადმყოფოში მოთავსების მიზეზს, სოსო გაბრიჩიძის თქმით, მარდალეიშვილი შეუძლოდ ნერვიულობის ნიადაგზე გახდა.**

**ინტერპრესნიუსი**

ფარდის დაშვების შემდეგ

# რეპერტუარი უნდა გაფართოვდეს

**ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ქმნილების – „დაისის“ სპექტაკლით დასრულდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მორიგი სეზონი.**

ყველა თავისი პარამეტრით განვლილი სეზონი ფრიად არაორდინარული და უჩვეულო გამოდგა, თვითონ განსაჯეთ: საოპერო და საბალეტო სპექტაკლების ტრადიციული წლიური რაოდენობის ნაცვლად, რომელიც თითქმის 300-ს უახლოვდებოდა, ამჯერად გაიმართა 53 საოპერო და საბალეტო წარმოდგენა, ე. ი. საშუალოდ მხოლოდ 5 სპექტაკლი თვეში.

გარდა ამისა, საკმაოდ მწირად გამოიყურებოდა საოპერო რეპერტუარიც – სულ 7 დასახელება, რომელთაგან მხოლოდ 2 იყო საპრემიერო – ვერდის „აიდა“ და დონიცეტის „დონ პასკუალე“.

კლასიკური ქართული ოპერები – ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ სულ 3-3-ჯერ უჩვენეს, ხოლო კიდევ ერთი კლასიკური ოპერა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ საზოგადოდ რეპერტუარის მიღმა დარჩა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

კაზუსი, რომელიც აღარასოდეს უნდა განმეორდეს მომავალში!

სანამ თეატრის მუშაობის პოზიტიურ მხარეებზე გადავალთ, მოდით, მოვახდინოთ პატარა ექსკურსი არც ისე შორეულ წარსულში, რაც უთუოდ დაგვეხმარება უკეთ გავერკვეთ იმ მწვავე პრობლემებში, რომლებიც წამოიჭრა თეატრის კოლექტივის წინაშე ბოლო ათწლეულებში.

90-იანი წლების მოვლენებმა, როგორც ცნობილია, ძალზე უარყოფითად იმოქმედეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე და, კერძოდ, კულტურაზეც (მათ შორის, მუსიკალურზეც), მთელი ამ წლების მანძილზე თეატრი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, შეიძლება ითქვას სულს ღაფავდა. ყველაფერთან ერთად, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მკვეთრად გაიზარდა ნიჭიერ ახალგაზრდა ვოკალისტთა ნაკადი, რომლებმაც ნორმალური სამუშაო პირობების ძიებაში საზღვარგარეთის საოპერო თეატრებს შეაფარეს თავი (მათი სახელები კარგად არის ცნობილი). დაშლის პირას იყო ორკესტრიც. მომავალი ფრიად ბუნდოვანი ჩანდა.

და აი, გასულ წელს ჩვენი ხელისუფლების, მე ვიტყოდი, ისტორიული გადაწყვეტილებით მკვეთრად გაიზარდა თეატრის ყველა შემოქმედებითი და ადმინისტრაციული რგოლის დაფინანსება. ეს გახლდათ მართლაც რომ „ქანგბადის ბალიში“ სულთმობრძავისთვის და მან დიდად შეუწყო ხელი მთელი საშემსრულებლო კოლექტივის მხატვრული პოტენციალის აღდგენას.

თეატრს სათავეში ჩაუდგნენ ახალი, ენერგიული და ინიციატივიანი ადამიანები: გენერალური დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი რეჟისორი დათო საყვარელიძე და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, რომლებმაც დიდი და შრომატევადი სამუშაო ჩაატარეს თეატრის ყველა შემოქმედებითი რგოლის: გუნდის, ორკესტრის, საოპერო და საბალეტო დასების რეორგანიზაციისა და დაკომპლექტებისათვის.

ყინული, როგორც იტყვიან, დაიძრა, მაგრამ ყოველივეს დაწყება თეატრის ხელმძღვანელობას პრაქტიკულად ნულოვანი ათვლის წერტილიდან უხდებოდა.

„პირველ მერცხლად“, რომელმაც გვაუწყა ახალი მნიშვნელოვანი ეტაპის დადგომა თეატრის ცხოვრებაში, მოგვევლინა ვერდის „აიდა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, მიუხედავად ზოგიერთი საკამათო რეჟისორული ინტერპრეტაციისა.

კომპაქტურად და მწყობრად ახმიანდა ორკესტრი (დირიჟორი ზ. აზმაიფარაშვილი), დიდებულად აჟღერდა გუნდი (ლოტბარები ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე) და, რაც მთავარია, თეატრი წარმოგვიდგა მთელი თავისი ვოკალური მშვენიერებითა და შესანიშნავი საშემსრულებლო შესაძლებლობებით.

გამოირკვა, რომ თეატრს ძალუძს გამოიყვანოს სოლისტ-ვოკალისტების სამი სრულფასოვანი შემადგენლობა, რომელთა შორის არიან ჩვენი სახელოვანი ვეტერანები, უცხოეთიდან დაბრუნებული „ლეგიონერები“ და მთლად ახალგაზრდა მომღერლები – კონსერვატორიის გუშინდელი (და დღევანდელიც!) სტუდენტები.

აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „აიდას“ რვავე სპექტაკლი ანშლაგით წავიდა, რასაც ჩვენ უკვე დიდი ხანია გადავეჩვიეთ.

არანაკლები წარმატება ხვდა წილად დონიცეტის ოპერის „დონ პასკუალეს“ ახალგაზრდულ სპექტაკლს (დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე). იგი ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდა.

ორივე სპექტაკლმა მაღალი შეფასება მიიღო, მათ შორის, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც. ამიტომ მათ შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

შევჩერდები მხოლოდ „საფინიშო“ სპექტაკლზე – ფალიაშვილის „დაისზე“, რომლის უჭკნობი მუსიკა ასერიგად გვქონდა მონატრებული.

სპექტაკლს დირიჟორობდა ჩინებული მუსიკოსი, გამოცდილი რევაზ ტაკიძე, რომელიც, სხვათა შორის, წლეულს პირველად დადგა სადირიჟორო პულტთან თეატრში. აი, თუ გნებავთ, გასული თეატრალური სეზონის კიდევ ერთი უცნაურობა!

განცდილი ესთეტიკური ტკბობის გარდა, სასიამოვნო იყო დავრწმუნებულიყავით თეატრის ვოკალური დასის უტყუარ შემოქმედებით შესაძლებლობებში. „დაისის“ სამ სპექტაკლში ხომ ჩვენ მთავარ როლებში მოვუსმინეთ, როგორც გამოცდილ მომღერლებს: ლიანა კალმახელიძეს, თემურ გუგუშვილს, ელდარ გეწაძეს, ომარ ხოფერიას, გია ასათიანს, ტარიელ ჭიჭინაძეს, მზია დავითაშვილს, ბესიკ გაბიტაშვილს, ასევე – ახალგაზრდებს: მანანა იორდანიშვილის, გია მახარაძეს, გია ონიანს (სამივესათვის ეს გახლდათ სადებიუტო გამოსვლა – მაროსა და მალხაზის როლებში) და სულხან გველესიანს. ყველა მათგანს დიდი და დამსახურებული წარმატება ხვდათ წილად, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი თეატრის მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი.

ცალკე საუბრის თემაა საბალეტო დადგმები და, საზოგადოდ, საბალეტო დასი, რომელსაც ახლა სათავეში უდგას განთქმული ბალერინა, შეუდარებელი ნინო ანანიაშვილი.

სამწუხაროდ, არ ვარ ამ დიდებული ხელოვნების სპეციალისტი და ამიტომ დავკმაყოფილდები პირადი შთაბეჭდილებით, რომელიც ემთხვევა მაღალ შეფასებას, ჩვენ პრესაში და სხვა ავტორიტეტულ პირთა მიერ რომ გამოითქვა. კერძოდ, აშკარად თვალში მეცა კორდებალეტის ძალზე გაზრდილი ოსტატობა.

დავასახელოთ სეზონის საბალეტო დადგმები: ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ და „მაკნატუნა“, „სამი ერთაქტიანი ბალეტი“, მინკუსის „დონკიხოტი“, ჯ. ბალანჩინის საბალეტო სპექტაკლები, ჰეროლდის „ამაო სიფრთხილე“.

სრული გაგებით ვეკიდებით რა იმ სიძნელეებს, რომელიც არსებობდა თეატრის ხელმძღვანელობის წინაშე, იმედს გამოვთქვამთ, რომ ზემოთ აღნიშნული ხარვეზები გათვალისწინებული იქნება მომავალში. თეატრის გაზრდილი შემოქმედებითი და ფინანსური შესაძლებლობები სრულ საფუძველს იძლევა მაქსიმალური კრიტერიუმებით მივუდგეთ მისი მოღვაწეობის შეფასებას. ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად კი მიგვაჩნია ქართული რეპერტუარის გაფართოება და, კერძოდ, ახალი ქართული ოპერებისა და ბალეტების დადგმა.

იმედის თვალით ვუყურებთ მომავალს და გამოვთქვამთ რწმენას, რომ კვლავ ვიხილავთ საყვარელ თეატრს გაბრწყინებულსა და გამარჯვებულს.



**გულბათ ტორაძე**

სიბრძნე სიცრუისა

# მართალი სიტყვა არც ბერდება, არც ბლაგვდება

## ივანე კრილოვი კვლავ ალაპარაკდა ქართულად




**გიორგი წიბახაშვილს ჩვენი საზოგადოება იცნობს, როგორც რუსული ფილოლოგიის ერთ-ერთ გამოჩენილ მკვლევარს. ამასთანავე ბატონი გიორგი ქართული ენის სადარაჯოზეც ურყევად დგას და ხან არც „აქეთ-იქით“ თარგმანსაც არიდებს თავს. ახლახან მან თავისი თარგმანები ცალკე წიგნადაც გამოსცა, საიდანაც ივანე კრილოვის რამდენიმე იგავის თარგმანს გთავაზობთ.**

**ვინც უნდა მოიწადინოს ივანე კრილოვის იგავების გადმოქართულება, – წერს გიორგი წიბახაშვილი შესავალ წერილში, – მას წინ დახვდება აკაკი წერეთლის მარად გაუხუნარი ნაღვაწი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი დიდი მესიტყვის – კრილოვისა და წერეთლის – შეხვედრა არ შეიძლება ჩაითვალოს რიგით მოვლენად, როდესაც ერთი მიზანდასახულად ჰკიდებს ხელს მეორის მიერ სხვა ენაზე შექმნილი ნაწარმოების თავის ენაზე ამეტყველებას, ანუ თარგმნას ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით. ი. კრილოვისა და ა. წერეთლის შემოქმედებითი კონტაქტი არ არის ავტორისა და მთარგმნელის ურთიერთობა. ეს არის იდეისა და ზოგჯერ სიუჟეტის სესხება და ნასესხები მასალის გამოყენებით ახალი მხატვრული ნაწარმოების შექმნა საკუთარი იდეურ-ესთეტიკური კონცეფციებით. როგორც კრილოვის იგავ-არაკები, მიუხედავად მრავალმხრივი მსგავსებისა, არ ჩაითვლება ლაფონტენის ნაწარმოებებად, ისევე აკაკი წერეთლის იგავები წერეთლისაა და არა კრილოვის. ამ მხრივ აკაკის ეს თხზულებები დედნისა და თარგმნის შედარების ჩარჩოებში ვერ ეტევიან და მათი ანალიზი უნდა ხდებოდეს, როგორც ორიგინალური მხატვრული ქმნილებების მათივე მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელთა შორის სიუჟეტური ან იდეური დამთხვევები არ თამაშობენ გადამწყვეტ როლს. მსოფლიო ლიტერატურამ ასეთი რამ მრავლად იცის.**

**წიბახაშვილის თარგმანები მართლა თარგმანებია, ანუ იმის ცდაა, რომ ქართველმა მკითხველმა თვითონ ეს დიდი რუსი მეიგავე დაინახოს.**

**ივანე კრილოვი**

### მეწისქვილე და ქათმები

**წისქვილში ახალი პატრონი**
**მოვიდა,**
**მას მინდის აღება ეხერხებოდა –**
**დასაფქვავ მარცვლეულს**
**ისე სწონიდა,**
**ფქვილის ნახევარი**
**თვითონვე რჩებოდა.**

**წყალი ჩხრიალებდა,**
**დოლაბი ბრუნავდა,**

**პატრონს უხაროდა, ილხენდა,**
**ღრეობდა.**
**წისქვილის მოვლაზე კი**
**აღარ ზრუნავდა.**
**და არც აწუხებდა, როგორ**
**ინგრეოდა.**

**ბოლოს კი წისქვილი მთლიანად**
**დამუნჯდა,**
**გაქრა წმინდა ფქვილის**
**საამო სურნელი.**
**პატრონი გაბრაზდა და**
**უცბად გაუჩნდა**
**დამანგრეველების მოძებნის**
**სურვილი.**
**გარეთ გამოვარდა, მაღლობზე ავიდა,**
**მიიხედ-მოიხედა**
**ლანძღვა-დაქადნებით**
**და რა დაინახა, წისქვილის**
**ღარიდან**
**წყნარად, უდარდელად**
**წყალს სვამენ ქათმები:**
**ჰაი, თქვე ქურდებო,**
**თქვე სკინტლიანებო,**
**რასაც თქვენ აკეთებთ,**
**რა საქციელია?!**
**ახლავე ჩემს წყალს თავი დაანებეთ!**
**– იყვირა კაცმა და ქათმებს დაერია.**

**ვინ იცის, იქნებ სხვაც ფიქრობს,**
**თითქოს,**
**თუ ქათმებს წყლის სმას**
**გადავაჩვევთ,**
**მაშინ წისქვილებსაც გადავარჩენთ.**

### გედი, ქარიყლაპია და კიბო

**როცა საქმეში მეგობრები**
**ვერ თანხმდებიან,**
**სასაცილონი ქვეყნის თვალში**
**ხომ ხდებიან,**
**ცუდი ის არის, თვითონ საქმეც**
**არა კეთდება.**

**ერთხელ, როგორც ეს**
**ზღაპარში ხდება,**
**ქარიყლაპიამ, კიბომ და გედმა**
**მოიწადინეს უღელში შებმა**
**და ურმით სადღაც წაღება ტვირთის**
**(ჩვენ ეს არ ვიცით –**
**რატომ და ვისთვის).**

**ყველა თავისას აწვება უღელს,**
**ძალი და ღონი არ დაიშურეს,**
**აქანავებენ, ანჯღრევენ ურემს,**
**მაგრამ რა გინდა, –**
**ძვრა კი ვერ უყვეს,**

**რადგანაც გედი აფრინდა ცაში,**
**ქარიყლაპიამ შესცურა წყალში,**
**კიბომ კი უკან წასვლა დაიწყო.**
**არადა ტვირთი მძიმე არ იყო.**

**და ვერც დაძრავდნენ ასე ადვილად,**
**ვერ წაიღებდნენ იმ ურემს ვერსად.**
**ერთი რამე კი ვიცით ნამდვილად, –**
**რომ ის ურემი იქ არის დღესაც.**

**თარგმნა**
**გიორგი წიბახაშვილმა.**

# ლონდონში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი დააპატიმრეს



**როგორც ბრიტანეთის დედაქალაქის პოლიცია იტყობინება, დააპატიმრეს კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდა მიმდინარე წლის 21 ივლისს ლონდონში მომხდარი აფეთქებების ორგანიზებაში.**

იგი დააკავეს სტოკველში – იქვე, სადაც პარასკევს საღამოს დააპატიმრეს პირველი ეჭვმიტანილი, იმავე დღის დილით კი მოკლეს მამაკაცი, რომელიც მეტროში ბომბის აფეთქებას ცდილობდა.

როგორც სკოტლენდ-იარდი იტყობინება, პირველი დაპატიმრებული, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ ამხელენ, ამჟამად პოლიციის სამმართველოში იმყოფება. მეორე პირის დაპატიმრება კი უშუალოდ უკავშირდება 21 ივლისის მოვლენათა გამოძიებას.

საგამოძიებო ოპერაციის მონაწილეები განაგრძობენ იმ ოთხი ეჭვმიტანილის ვინაობის დადგენას, რომელთა ფოტოსურათებიც გამოქვეყნდა პარასკევს. პოლიციელები აცხადებენ, რომ მათ მრავალმა ადამიანმა მიმართა.

როგორც პოლიციელები აღნიშნავენ, ერთ-ერთი ამფეთქებელი – შუახნის მამაკაცი, რომელმაც დატოვა ჩანთა ასაფეთქებელი მოწყობილობით № 26 ავტობუსის უკანა სკამზე, ნამდვილად არ აპირებდა სიკვდილს, რადგან ავტობუსიდან იგი ჩამოვიდა მანამ, სანამ დეტონატორი ამოქმედდებოდა.

ჯერჯერობით არ არის ასევე დადგენილი იმ ახალგაზრდა კაცის ვინაობა, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულმა ოპერატიულმა მუშაკებმა მოკლეს მეტროს სადგურ „სტოკველში". ასევე, არც ის არის ცნობილი, არის თუ არა იგი იმ ძებნილი ოთხი პირიდან ერთ-ერთი, რომელთა ფოტოსურათებიც გამოაკრეს ამოსაცნობად.

ლონდონის ქუჩებში სადღეისოდ შეხვდებით უამრავ შეიარაღებულ პოლიციელს, რომლებსაც ევალებათ დამიზნებითი ცეცხლი გაუხსნან ყველა იმ პირს, რომელიც, მათი აზრით, საეჭვოდ იქცევა და შესაძლოა საფრთხე მოუტანოს ადამიანების სიცოცხლეს.

# უსამა ბენ ლადენი ცოცხალია...

**ტერორისტული დაჯგუფების „ალ-ყაიდას" ლიდერი უსამა ბენ ლადენი, სავარაუდოდ, ცოცხალი უნდა იყოს, მაგრამ იგი პაკისტანის ტერიტორიაზე არ უნდა იმყოფებოდეს, განაცხადა პაკისტანის პრეზიდენტმა, გენერალმა ფერვეზ მუშარაფმა, ამერიკის ეი-ბი-სის ტელეკომპანიისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.**




„მე არ მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ბენ ლადენი იმყოფებოდეს პაკისტანში. ჩვენი ვარაუდით, ეს ადამიანი ამჟამად უნდა იმყოფებოდეს სადღაც ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის მიდამოებში", – თქვა მუშარაფმა.

პაკისტანის პრეზიდენტმა ამასთან ისიც აღნიშნა, რომ უსამა ბენ ლადენი რომ იყოს კიდეც პაკისტანის ტერიტორიაზე, უცხოეთის სპეცსამსახურებს მაინც არა აქვთ ამ ქვეყანაში მისი დაკავებისთვის გამიზნული ოპერაციის განხორციელების უფლება. პაკისტანში მოქმედების უფლება მხოლოდ პაკისტანის სპეცსამსახურებს აქვთ, თქვა მუშარაფმა.

„ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა ამ ადამიანის დაკავებისთვის. თუ მივიღებთ შესაბამის სადაზვერვო ინფორმაციას, ყველაფერს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ", – თქვა პრეზიდენტმა. „მაგრამ ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რომ მას ავღანეთში შეიპყრობენ ამერიკელები", – დასძინა მუშარაფმა.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ პაკისტანის და ამერიკის სპეცსამსახურები მჭიდრო კონტაქტით თანამშრომლობენ.

როგორც ცნობილია, ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-ყაიდას" ლიდერს უსამა ბენ ლადენს ვაშინგტონი აკისრებს პასუხისმგებლობას 2001 წლის 11 სექტემბერს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მომხდარი ტერორისტული აქტების ორგანიზებისთვის.

ბენ ლადენი გაუჩინარდა მას შემდეგ, რაც 2001 წლის დამლევს ამერიკელთა მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად დაემხო ავღანელ თალიბთა რეჟიმი, რომელიც მას თავშესაფარს აძლევდა. ამის შემდეგ, უცნობია „ნომერ პირველი ტერორისტის" ადგილსამყოფელი.

# რუსეთმა უნდა აღიაროს ბალტიის ქვეყნების უკანონო ოკუპაცია

**ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პარასკევს გამართულ სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს, რომ რუსეთის მთავრობამ დაგმოს საბჭოთა კავშირის მიერ „ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის უკანონო ოკუპაცია და ანექსია". როგორც რეზოლუციის ერთ-ერთი თანაავტორის, რესპუბლიკელი კონგრესმენის ტადეის მაკკოტერის აპარატი იტყობინება, დოკუმენტი ხმათა უმრავლესობით მიიღეს.**



„რუსეთის ფედერაციის მთავრობამ უნდა გააკეთოს მკაფიო და არაორაზროვანი განცხადება, რომლითაც აღიარებს და დაგმობს 1940-1991 წლებში საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიისპირეთის ქვეყნების – ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის უკანონო ოკუპაციას და ანექსიას", – ხაზგასმულია დოკუმენტის პრეამბულაში.

„1940 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნების – ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის შეყვანა სსრ კავშირის შემადგენლობაში იყო სუვერენული ხალხების ნების წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის აქტი", – აღნიშნულია რეზოლუციაში.

დოკუმენტის ავტორები წერენ, რომ თუ რუსეთი აღიარებს ბალტიისპირეთის სახელმწიფოების უკანონო ოკუპაციას და ანექსიას, ეს გამოიწვევს ამ ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებას რუსეთთან და „განამტკიცებს სტაბილურობას რეგიონში".

პარასკევს მიღებული რეზოლუცია წარმოადგინა ცხრა კონგრესმენისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ რესპუბლიკელი ჯონ შიმკუსი და დემოკრატი დენის კუსინიჩი – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში 1997 წელს შექმნილი „ბალტიისპირეთის ფრაქციის" თანათავმჯდომარეები, რომელიც იცავს ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის ინტერესებს.

ანალოგიური დოკუმენტი, რომლის ავტორებიც ასევე მოითხოვდნენ, რომ რუსეთს ეღიარებინა და დაეგმო ბალტიისპირეთის ქვეყნების ოკუპაცია, ჯერ კიდევ 20 მაისს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა. იმ რეზოლუციის ავტორები არიან რესპუბლიკელი-სენატორი გორდონ სმიტი და ორი დემოკრატი-სენატორი – დაიან ფაინსტაინი და რიჩარდ დურბინი.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ბალტიის ქვეყნების ოკუპაციის გამო რუსეთის მიერ ბოდიშის მოხდის საკითხი დაიხურა ჯერ კიდევ 1989 წელს, როცა სახალხო დეპუტატთა ყრილობამ თავისი დადგენილებით დაგმო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი. „რა შეგვიძლია გავაკეთოთ კიდევ ამ საკითხის თაობაზე? ხომ არ გსურთ, რომ ყოველ წელს ვაკეთოთ ეს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი ამოწურულია", – თქვა ვლადიმერ პუტინმა 10 მაისს მოსკოვში რუსეთ-ევროკავშირის სამიტის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

# აფეთქებები შარმ ელ-შეიხში

**აფეთქებათა სერია მოხდა სინას ნახევარკუნძულზე მდებარე ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმ ელ-შეიხში. უკანასკნელი მონაცემებით, კამიკაძეების მიერ განხორციელებული აფეთქებების შედეგად დაიღუპა 62 და დაიჭრა 200-ზე მეტი ადამიანი. თუმცა, მსხვერპლის რიცხვი ალბათ გაიზრდება, რადგან ზოგიერთი ადამიანი აღმოჩნდა აფეთქებული სასტუმროების ნანგრევებქვეშ.**

პირველი აფეთქება მოხდა ღამის პირველი საათისთვის, ძველი ბაზრის მიდამოებში, დანარჩენები კი – დაახლოებით 15 წუთის ინტერვალში სასტუმროების „გაზავა გარდენსის" და „მოვენლიკის" მახლობლად მდებარე ნაამა-ბეის რაიონში.




ტერაქტების გამოძიებას ხელმძღვანელობს ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრი ჰაბიბ ალ-ადლი. როგორც იტყობინებიან, ტერაქტების განხორციელებისთვის პასუხისმგებლობა იკისრა „შაჰიდ აბდალ აზანის ბრიგადების" დაჯგუფებამ.





## ◎ სპარტაკიადა

# შეზღუდული შესაძლებლობებითა და უსაზღვრო ენთუზიაზმით

**თბილისის სპორტულ ბაზებზე ორ კვირას გრძელდებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა II საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც ამჯერადაც თბილისის მერიის სპორტის სამსახურისა და მისი უფროსის – გია უდესიანის ინიციატივით გაიმართა. 300-მდე ქალ-ვაჟი სპორტის 7 სახეობაში ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას: ჭადრაკი – გიორგი ჭუმბურიძე, გივი ბერძენიშვილი, მარინა კალხიტაშვილი, ცურვა – ავთანდილ ბერიძე, გიორგი იობიძე, მკლავჭიდი – ფრიდონ ელიზბარაშვილი, ჯაბა ჭიოკაძე, მაგიდის ჩოგბურთი – ნიკოლოზ გარანკინი, მილანა აივაზოვა, ლეილა ხუტურიძე, შაში – დათო ჭიკაიძე, გივი დეკანოიძე, მარინა კალხიტაშვილი, დარტსი – თემურ კარანაძე, საშა დობრიკოვი, კალათში ბურთის ჩაგდება – გიორგი გაბუნია და ავთანდილ ბერაძე.**



სპარტაკიადის ჩემპიონები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ფირმა „კოკა-კოლამ" შეჯიბრების მონაწილეები უფასო სასმელებით მოამარაგა.



– ამგვარი ასპარეზობები აუცილებელია, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა თავი საზოგადოებისგან გარიყულად არ იგრძნონ. სპორტის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილებით, თბილისის სპარტაკიადები ყოველწლიურად გაიმართება და მასშტაბებიც გაიზრდება, – გვითხრა თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ზაზა დოლიძემ.

– დიდი მადლობა ბატონ გია უდესიანს და მის სამსახურს – ამ შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც ინვალიდ სპორტსმენებს გამარჯვების სიხარული კიდევ ერთხელ განაცდევინეს, – დასძინა საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ დავით მაისურაძემ.

რაც მთავარია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა ორი კვირის განმავლობაში ყველას დაუმტკიცეს, რომ მათი შემართება და ენთუზიაზმი უსაზღვროა.

**ლევან ცინცაძე.**

**სურათებზე: მკლავჭიდელთა პაექრობა; დაჯილდოების მომენტი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ◎ მძლეოსნობა

# ქალმა თუ გაიწია...



**5-მეტრიანი სიმაღლე გადალახულია! მსოფლიოში ქალთა შორის ამ სიმაღლეზე ჯერ არავინ გადამხტარა – რუსეთელმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ ოცნება აისრულა. ლონდონში მძლეოსანთა მსოფლიო ფედერაციის სუპერ გრან-პრის გათამაშებისას ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯერ მეორე ცდაზე კიდევ ერთი ახალი, მეთექვსმეტე მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 4,96 მეტრზე გადახტა, ხოლო შემდეგ პირველსავე ცდაზე ყველასათვის სანუკვარი სიმაღლე – 5 მეტრი – გადალახა!**

აი, როგორ შეაფასა ეს ისტორიული ფაქტი, ლეგენდარულმა ჭოკით მხტომელმა, უკრაინელმა სერგეი ბუბკამ, რომელმაც 35 მსოფლიო რეკორდი დაამყარა: „ვფიქრობ, ელენა უნიკალური მხტომელია. ის რეკორდებს ისევე იპყრობს, როგორც თავის დროზე – მე. ვფიქრობ, ის უფრო მაღლაც გადახტება. მინდა, რომ მან დაამხოს ჩემი მიღწევა – დამყარებული რეკორდების რაოდენობაში".

## ◎ სპორტულ ორბიტაზე

# „შესანიშნავი სამეული" – გულშემატკივრებს

**ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ერთხელ კიდევ გააერთიანებს თანამედროვეობის სამ უდიდეს ტენორს – ლუჩანო პავაროტის, ხოსე კარერასსა და პლასიდო დომინგოს. ისინი მომავალ ზაფხულში, ჩემპიონატის დღეებში კონცერტს გამართავენ ჰამბურგში, სადაც ადრე არასდროს გამოსულან.**



მათი კონცერტი ჰამბურგში მსოფლიოს სამი შესანიშნავი მომღერლის ერთ-ერთი ბოლო ერთობლივი გამოსვლა იქნება, რადგან 2006 წლიდან 70 წლის პავაროტი გამოსვლების შეწყვეტას აპირებს, რის მიზეზადაც ზედმეტ წონას ასახელებს.

## ◎ ტრანსფერი

# ფეხბურთელთა ბაზრის მილიონები

**იყიდება ფეხბურთელი, 28 წლის, ცოლშვილიანი, ჰყავს ბავშვი და აქვს მუშაობის გამოცდილება. იტალიელი და უკრაინელი ხალხი მისი დიდი მადლიერია. არის „ოქროს ბურთი-2004"-ის მფლობელი. მისი ფასია 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი ან 105 მილიონი ამერიკული დოლარი.**

გამყიდველია საფეხბურთო კლუბი „მილანი" იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის სახით. მყიდველი – ლონდონის „ჩელსი" რომან აბრამოვიჩის სახით. გარიგება, რომელიც ამ დღეებში შედგება, მორიგი სენსაცია იქნება ფეხბურთის სამყაროში. ამდენი ფული ჯერ არ გადაუხდიათ არც ერთ ფეხბურთელში.

აი, რას ფიქრობს ყოველივე ამაზე ფიფას აგენტი კონსტანტინე სარსანია.

**– როგორ განისაზღვრება ფეხბურთელის ფასი?**

– ფეხბურთელის ფასი დამოკიდებულია მის სტატისტიკურ მონაცემებზე: თამაშში შედეგიანობაზე, ასაკზე და ა. შ. იმაზე, თუ კიდევ რამდენ ხანს გაუგრძელდება მოქმედი კონტრაქტი, თუ როგორ ირჯება თავად მოთამაშე, მისი გუნდი და ჩემპიონატი, სადაც ის თამაშობს. ამიტომაც არ არსებობს აბსოლუტური ფასები. მაგალითად, კურჟაკოვი რომ ინგლისის ჩემპიონატში თამაშობდეს, ის აუცილებლად ასობით მილიონი ეღირებოდა. მაგრამ ის თამაშობს „ზენიტში", რომელსაც არავინ იცნობს, ამიტომაც ფასი შესაბამისია.

**– განა ანდრეი შევჩენკო ნამდვილად ამდენი ღირს?**

– თუკი მზად არიან ასეთი თანხით მის ყიდვაზე, მაშასადამე, ღირს! აქ განსაკუთრებულია შემდეგი ფაქტორები: მოთხოვნა და წინადადება, აგრეთვე ფეხბურთელის მნიშვნელობა კლუბში, სადაც ის თამაშობს. შევჩენკო „მილანისთვის", მისი პატრონისთვის – ბერლუსკონისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ის ვარსკვლავია. თუ გსურთ შეიძინეთ, მაგრამ არანაკლებ 100 მილიონად, ხოლო თუკი „ჩელსი" მზადაა მასში ამდენი ფულის გასაღებად, მაშინ უარის თქმა სისულელეა.

**– შესაძლებელია, თუ არა, ფეხბურთის რომელიმე ვარსკვლავი უახლოეს ხანში აღმოჩნდეს რუსეთში?**

– გააჩნია, რომელი. დადიოდა ხმები, რომ კლუბი „მოსკვა" აპირებდა ფიგუს ყიდვას. საბოლოო ანგარიშით კი მან კონტრაქტი ინგლისის „ლივერპულთან" გააფორმა. მაგრამ ის აქაც შეიძლება აღმოჩენილიყო. მაინც ვინაა ფიგუ? ჩამავალი ვარსკვლავი. ის 33 წლისაა. სადღეისოდ სათამაშო თვისებებით პორტუგალიელი მანიშე, „დინამომ" რომ იყიდა, ძლიერია ფიგუზე. ვარსკვლავები, თავიანთი კარიერა რომ უნდა დაამთავრონ, სათამაშოდ მიდიან ყატარში, კუვეიტში. შეუძლიათ რუსეთში ჩასვლაც. მაგრამ რონალდო აქ არ ჩამოვა. რა გინდ დიდი ფული გადაუხადოთ. თუმცა რუსეთის კლუბებს ასეთი ფული არც გააჩნიათ.

**– ფეხბურთელის გაყიდვით მიღებული თანხიდან თვით ფეხბურთელს თუ ერგება რამე?**

– ფაქტობრივად ფეხბურთელის გაყიდვით მიღებული მთელი ფული რჩება კლუბს, რომელმაც გაყიდა. ევროპაში მოთამაშემ შეიძლება მიიღოს თავისი ღირებულების 10 პროცენტამდე, თუკი მას თავიდანვე კონტრაქტში ჰქონდა ასეთი მუხლი. რუსეთში ასეთი პრაქტიკა არაა. კიდევ 10 პროცენტამდე, შესაძლოა, შეხვდეს აგენტს, ისიც თუ როგორ მოურიგდება კლუბს. რაც უფრო მაღალია ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება, იმდენად დიდია მისი ხელფასი. მაგრამ არავითარი კონკრეტული ფორმულა არ არსებობს.

**„არგუმენტი ი ფაკტი". №29.**

**ფეხბურთელთა სარეკორდო გადასვლები (მილიონ დოლარებში)**

მანიშე – „პორტოდან" – მოსკოვის „დინამოში" – 2005 – 19,3

დევიდ ბექჰემი – „ფიორენტინადან" – „მილანში" – 2001 – 42,9

რონალდინო – „ინტერიდან" – „რეალში" – 2002 – 49,0

ბუფონი – „პარმადან" – „იუვენტუსში" – 2002 – 49,9

ფიგუ – „ბარსელონადან" – „რეალში" – 2000 – 64,8

ზიდანი – „იუვენტუსიდან" – „რეალში" – 2001 – 83,1

შევჩენკო – „მილანიდან" – „ჩელსში" ? – 105,4.




## ◎ ფეხბურთი

# მეჩვიდმეტე გაელვება

**პარს მოგვადგა სფფ-ს განახლებული ხელმძღვანელობის პირმშოს – თექვსმეტგუნდიანი XVII ეროვნული ჩემპიონატის სტარტი, რომელსაც მხოლოდ სპორტული დატვირთვა როდი ექნება – გათამაშებაში სოხუმის „დინამოსა" და „ცხინვალის" ჩაბმა, დაგვეთანხმებით, მრავალმხრივ საგულისხმო ფაქტია.**

ბუნებრივია, ამ ფონზე დამდეგ მარათონს არც უშუალო დანიშნულება გაუფერმკრთალდება, მით უმეტეს, როცა ცნობილია ქართული ფეხბურთის ახალ მესვეურთა პოზიცია, რომ ეროვნული ნაკრებისკენ თამამად უნდა გაეხსნათ გზა ახალგაზრდობასა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე მოთამაშეებს.

გთავაზობთ XVII ეროვნული ჩემპიონატის I წრის კალენდარს.



საქართველოს რესპუბლიკა
№ 174. კვირა, 24 ივლისი, 2005 წელი.

## ყველაფერი ყველაფერზე

### „მადონას“ ახალი გამოცანა



**ლონდონის ეროვნული გალერეის სპეციალისტებს ლეონარდო და ვინჩის ახალი ნაწარმოებისთვის მიუგნიათ. ეს მოხდა ინფრაწითელი გამოსხივების დახმარებით, ლეონარდოს სახელგანთქმული ტილოს „მადონა კლდეებში“ გაანალიზების შემდეგ. საღებავის ფენის ქვეშ აღმოჩნდა ნახატი, რომელზეც გამოსახულია მუხლმოყრილი და ხელგაწვდილი ქალი.**

ხელოვანს 1483 წელს დაუკვეთეს „მადონა კლდეებში“, მილანის ერთ-ერთი ტაძრის საკურთხევლის დასამშვენებლად. ნაწარმოები ორი სხვადასხვა ვერსიით არსებობს და აქამდე გაურკვეველია, ორივე ეკუთვნის თუ არა ლეონარდოს ფუნჯს. ერთ-ერთი ასლი პარიზის ლუვრში ინახება და მისი ორიგინალობის სასარგებლოდ ის ფაქტი მოჰყავთ, რომ სურათი ოდესღაც საფრანგეთის მეფეს ეკუთვნოდა, რომელსაც ეგებ თვით მხატვრისგან ჰქონდა გადმოცემული.

ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნე კი ფიქრობს, რომ ლონდონური ვერსიის დიდი ნაწილი შექმნა ლეონარდოს ერთ-ერთმა მოწაფემ ამბროჯო დი პრედისმა, ხოლო დიდოსტატმა მხოლოდ მადონას და ანგელოზის სახეები დახატა. ახლა „მადონას“ გამოცანას ახალი საბაბი მიემატა განსჯისათვის. კრიტიკოსები განაგრძობენ იმაზე კამათს, თუ რა აზრი ჩასდო მხატვარმა ამ მონახაზში.

### „ოსკარი“ იწვევს



**ამერიკის კინოხელოვნების აკადემიამ 91 ქვეყანას გაუგზავნა მიწვევა „ოსკარის“ პრემიაზე თავიანთი ფილმების წარმოსადგენად 2005 წლის „საუკეთესო უცხოური ფილმის“ კატეგორიაში. წლეულს პირველად გაეგზავნა მოწვევა ყაზახეთის კინემატოგრაფისტებს. რუსეთის კინემატოგრაფი კი უკვე მრავალი ათწლეულის მანძილზეა „საოსკარო რბოლის“ მონაწილე. რუსეთული სურათები ხსენებული კატეგორიით 13-ჯერ შედიოდნენ ნომინანტთა რიცხვში. სახელგანთქმული პატარა ოქროს ქანდაკების მფლობელები სხვადასხვა დროს გამხდარან: „ომი და მშვიდობა“ (1969), „დერსუ უზალა“ (1976), „მოსკოვს ცრემლებისა არ სჯერა“ (1981), „მზით გათანგულნი“ (1995).**

სხვათა შორის, 1943 წელს „ოსკარი“ ხვდა რეჟისორების ლეონიდ ვარლამოვისა და ილია კოპალინის დოკუმენტურ ლენტს „გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება მოსკოვთან“. ახლა ეს ჯილდო დედაქალაქის კინოს მუზეუმში ინახება...

... პასუხები კინოაკადემიამ 3 ოქტომბრამდე უნდა მიიღოს, 14 ოქტომბრისთვის კი მის წევრებს ხელთ უნდა ჰქონდეთ კანდიდატი ფილმის განსახილველი კოპიო. ყოველი სურათი მკაცრ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ის გადაღებული უნდა იყოს წარმომდგენი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, ხოლო განსახილველ ასლს ინგლისური სუბტიტრები უნდა ახლდეს. მეორე პირობა – ფილმი აუცილებლად უნდა იყოს დემონსტრირებული, შვიდი დღის განმავლობაში მაინც, ამ ქვეყნის კომერციულ კინოთეატრში – 2004 წლის პირველი ოქტომბრიდან 2005 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში. ყოველ ქვეყანას მხოლოდ ერთი სურათის წარმოდგენის უფლება აქვს.

2004 წელს კინოაკადემიის მიწვევას 50 სახელმწიფო გამოეხმაურა. სავარაუდოდ, წელს მათი რაოდენობა უნდა გაიზარდოს: 91 მიწვეულიდან 41 ნამდვილად არ იტყვის უარს...

### მწერლის მონუმენტური მარტოობა

**ლონდონის პარკში ჰემასედ-ჰიტში აღმართულია 30-მეტრიანი ქანდაკება, სახელად „მწერალი“. ის კაი სახლის ოდენა მაგიდასა და სკამს წარმოადგენს. აქ ოთხი თვე იდგმება, მერე კი სამშობლოში დაბრუნდება, იტალიაში. ნაწარმოები მწერლური მარტოობის სიმბოლოს გამოხატავს ქალაქის იმ რაიონში, რომელიც დაკავშირებულია პოეტების, ჯონ კიტსისა და სამუელ კოლრიჯის შემოქმედებასთან.**

ჯანფრანკო ნერიმ, ავტორმა, ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე პოპალარული ეს პარკი სწორედ მისი ლიტერატურული წარსულის გათვალისწინებით აირჩია. ნეაპოლელ მოქანდაკეს მონუმენტის შესაქმნელად ექვსი ტონა ფოლადი და ოთხნახევარი ტონა ხე დასჭირდა. ხელოვანის თქმით, მას სურდა, რომ ხალხს ქანდაკება გამოეყენებინა, მაგალითად, პიკნიკის მოსაწყობ ადგილად (მაგიდა და სკამი!), ხოლო ფეხები – ფეხბურთის კარის სახით. მონუმენტი როცა რომში იდგა, მის ქვეშ უსახლკარონი ცხოვრობდნენ...

## ვისთვის – ნახევრადცარიელი და ვისთვის – ნახევრადსავსე



*კინორეჟისორ ვუდი ალენს გამოუსწორებელ სკეპტიკოსად და ცხოვრებაზე გულაყრილ კაცად მოიხსენიებენ. ამას წინათ მან თავისი 35-ე ფილმი გამოუშვა – "მელინდა და მელინდა", სადაც გმირი ქალის ისტორია ორი კუთხით განიხილება: ჯერ როგორც ტრაგედია, მერე როგორც კომედია... სახელისა და წარმატების მიუხედავად, ხელოვანის ცხოვრებისეული პოზიცია არ იცვლება: ძველებურად არ მოსწონს საკუთარი სურათები, ჩივის, რომ ცოლს მისი ხუმრობები არ აცინებს და ცხოვრებით კვლავ უკმაყოფილოა...*

**– რატომ არ გიყვართ თქვენი ფილმების ყურება?**

– წარმოიდგინეთ გულმოდგინე შეფ-მზარეული, რომელმაც მთელი დღე ქურასთან გაატარა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ვერაფრის შეჭმას ვერ შეძლებს თავისივე მომზადებულიდან. ჩემს სურათებსაც ასე ემართება. ვწერ სცენარებს, ვიღებ, გამუდმებით ვფიქრობ ფილმზე; მანამ, სანამ დავასრულებ, ყველაფერზე ვზრუნავ. აი, როცა დამთავრებულია, მისი ნახვაც აღარ მინდა. თითქმის 40 წელი გავიდა, რაც პირველი სურათი გავაკეთე – „აიღე ფული და მოუსვი“. აქამდე კი არ გავკარებივარ.

**– მანამდეც გთვლიდნენ ვუნდერკინდად...**

– 16 წლისამ გავუგზავნე გაზეთს რამდენიმე ხუმრობა და მოულოდნელად, დამიბეჭდეს. მახსოვს ჩემი გაკვირვება, როცა საკუთარი გვარი ვნახე. რამდენიმე ხნის შემდეგ თოქ-შოუსთვის შევუდექი იუმორის წერას და თვეში რვა ათას დოლარს ვაკეთებდი. დედაჩემი ყვავილებს ყიდდა, მამა ხან ოფიციანტად მუშაობდა, ხან ბარმენად, ხან ტაქსის მძღოლად, ქუჩის მოვაჭრეც ყოფილა. ვერ გაუგიათ, ასეთი ვის დავემგვანე...

**– დედათქვენი ყვება, რომ ოთხ წლამდე ოპტიმისტური, მხიარული ბავშვი იყავით. მერე უცბათ შეგცვლიათ ხასიათი...**

– არც ვიცი, რატომ. არაფერი ტრაგიკული არ განმიცდია. მშობლები არ მცემდნენ, ყველა სათამაშოს ყიდულობდნენ, რაც მომწონდა... მგონია, ძალიან ადრე ვიგრძენი, რომ მოკვდავი ვარ და ადრე თუ გვიან, ყველა მოკვდება, მშობლები, მეზობლები, მე. ყველაფერი, რაც ახლა გარშემოა, ფერფლად იქცევა, გაქრება, გადაშენდება. ტვინში შიში ჩამეჭედა და აქამდე მაწამებს.

**– ნუთუ ასე ხშირად გაწვალებთ ფიქრები, რომ ყველა მოკვდავი ვართ?**

– ჩემდა საუბედუროდ, ეს ფიქრები კი არა, ფიქს-იდეაა... როცა ვხედავ, რეებს აკეთებს მაიკლ ჯორდანი კალათბურთის ბურთით, ვფიქრობ: გავა რაღაც დრო და ეს მშვენიერი სხეული სულ დაირღვევა... შევხვდები ქუჩაში მომხიბვლელ ქალს და ვეუბნები ჩემ თავს: ოდესმე ამ სილამაზეს ავადმყოფობა და სიბერე მოუღებს ბოლოს. ეს ხომ დანაშაულია!

**– ყოველ წელიწადს ახალ ფილმს იმიტომ ქმნით, რომ მწარე სინამდვილეს განერიდოთ?**

– ასე გამოდის. სურათების გადაღება ჩემთვის რაღაც კალათების მოწვნასავითაა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში: ამას რომ აკეთებს, პაციენტი თავს ოდნავ უკეთ გრძნობს.

**– თქვენი ყოფილი მეგობარი ქალი დაიანა კოტონი ამბობს, რომ უზარმაზარი ნებისყოფა გაქვთ.**

– სასაცილო მრგვალ სათვალეს რახან ვატარებ და ბრიუს უილისივით ტანი არა მაქვს, ხშირად ვეშლები ხალხს სუსტ, ერთობ მორიდებულ გმირებში, რომლებსაც ეკრანზე ვთამაშობ.

**– 1997-ში სუნ-ი შეირთეთ, თქვენი მეორე ყოფილი მეგობარი ქალის, მია ფეროუს ნაშვილები. როგორ ეწყობა თქვენს შეხედულებებს?**

– არც როგორ. სხვებივით მივაჩნივარ მომაბეზრებელ, უცნაურ, ნევროტიკულ ტალანტად. გადმომცეს, რაც ჩემზე უთქვამს: „უმეტესი ადამიანისთვის კუბო ნახევრად ცარიელია. ვუდისთვის – ნახევრად სავსე“.

**– რას შვრება თქვენი კორეელი ცოლი, როცა მელანქოლია შეგიპყრობთ ხოლმე?**

– არაფრად მაგდებს. თითქოს ასეთ დროს ვერცა მხედავს და მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ შვილები თვალში არ მომხვდნენ.

**– არ გაწუხებთ ის აზრი, რომ ალბათ ვერ მოესწრებით თქვენი გოგონების სრულწლოვანებას?**

– ამის გარანტიას ვერავინ მომცემს, მაგრამ მე და სუნ-ი ვფიქრობთ, რომ ჩემი მშობლების გენები გადმომეცემა მემკვიდრეობით: დედამ 95 წლამდე იცოცხლა, მამამ – ასამდე. ის, რაც მართლაც გულს მტკენს, სუნიზე ფიქრებია! შემეძლო ევფემიზმის გამოყენება გამოსათხოვარი სიტყვიდან და თქმა: „მე მის თვალწინ უნდა წავიდე ცხოვრებიდან“. მწარე ჭეშმარიტება კი ისაა, რომ იმაზე ადრე მოვკვდები.



**14-20 ივლისი, „კულტურა“.**

## ქრონოგრაფი

### 25 ივლისი, X საუკუნე



**ხსენების დღე წმიდა ათონის მთაზე ქართველ სასულიერო მოღვაწეთა სავანის დამაარსებელი მამებისა – ღირსი იოანესა და გაბრიელის. ნეტარი მამა იოანე, ერისკაცობაში ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი, დაიბადა სამცხეში, დაახლოებით 920 წელს. მისი მამა დავით კურაპალატის კარზე დაახლოებული დიდებული იყო. იოანეს ბავშვობიდანვე საუკეთესო განათლება მიაღებინეს. იგი, როგორც მამამისი, საერო სამსახურში ჩადგა. იოანეს კი ჰყავდა ცოლ-შვილი, მეგობრები, ერთგული ხალხი, ჰქონდა ურიცხვი ქონება, მაგრამ ქრისტეს სიყვარულით დატოვა ამქვეყნიური დიდება და ფარულად მიაშურა ლავრას დიდებულთა ოთხთა ეკლესიათა შიგან. იგი მონაზვნად აღკვეცეს და კურთხევით საბერძნეთში ულუმბოს მთაზე ერთ-ერთ მონასტერში გაგზავნეს. საბერძნეთის იმპერატორმა ერთგულების ნიშნად დავით კურაპალატს მძევლები მოსთხოვა. მძევალთა შორის იოანეს ვაჟი ექვთიმეც იყო.**

იოანემ იმპერატორს თავისი ძე და რამდენიმე მძევალი გამოსთხოვა და ისინი ათონის მთაზე ათანასეს ლავრაში დაამკვიდრა, იქვე თვითონ მორჩილებაში ორი წელი გაატარა. წმიდა იოანემ ათონის მთაზე ორი ეკლესია ააგო. დაავადებულმა წმიდა იოანემ მონასტრის წინამძღოლობა თავის ძეს წმიდა ექვთიმეს გადააბარა, დალოცა მამები და ძმები და მიიცვალა. მის საფლავზე წმიდა ექვთიმემ წმიდა მთავარანგელოზთა ეკლესია ააშენა.

წმიდა გაბრიელ ქართველი ათონის მთაზე მოღვაწე ბერი იყო. იგი ზაფხულობით მიუვალ მთებში ცხოვრობდა, ზამთრობით სავანეში ჩადიოდა. წმიდა გაბრიელ ქართველს მიეწერება ღვთისმშობლის წმიდა ხატის ზღვიდან გამოსვენება. დღეს ათონის ივერთა მონასტერში ბრძანდება ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ივერიისად წოდებული, რომელიც მთელი ათონის გულად ითვლება, მონასტრის შესასვლელში არის დიდი ხატი ივერონის დამაარსებელი ქართველი ბერებისა: იოანესი, ექვთიმესი და გიორგისა, რომლებსაც, როგორც ქტიტორებს მთელი ათონის მთა იხსენიებს.

### 26 ივლისი, 1975 წელი



**საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ იური ანდროპოვმა ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა საიდუმლო წერილი. იგი ითხოვდა ქალაქ სვერდლოვსკის რეკონსტრუქციის მიზნით დაენგრიათ ინჟინერ იპატიევის სახლი, რომლის სარდაფშიც 1918 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს მეფე ნიკოლოზ II ოჯახის წევრები.**

ანდროპოვის გადაწყვეტილების მოტივი ასეთი იყო – სახლი დგას სვერდლოვსკის (ახლანდელი ეკატერინბურგის) ცენტრში და უცხოელ ტურისტთა ყურადღებას იქცევს. ზუსტად ორი წლის შემდეგ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ელცინის ბრძანებით ღამით შენობა დაანგრიეს...

### 27 ივლისი, 1921 წელი

**კანადელმა ფიზიოლოგმა ფრედერიკ გრანტ ბანტინგმა მიიღო ინსულინის ჰორმონი სუფთა სახით.**

მის მიერ აღმოჩენილი პრეპარატი დიაბეტისა და სხვადასხვა დაავადებების ძირითად სამკურნალოდ იქცა. 1923 წელს ფრედერიკ ბანტინგს ნობელის პრემია მიანიჭეს ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში.



### 28 ივლისი, 1945 წელი

**ნისლიან დილას აშშ-ს საჰაერო სამხედრო ძალების ორძრავიანი ავიაგამანადგურებელი B-25 შეეჯახა ნიუ-იორკის ემპაირ სტეიტ ბილდინგის შენობას, რომელიც იმ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ცათამბჯენად ითვლებოდა.**

მთლიანად დაინგრა შენობის 78-ე სართული. რადგან შაბათი დღე უქმე იყო, კატასტროფისას მხოლოდ 14 ადამიანი დაიღუპა. მეორე დღისით ცათამბჯენის კომენდანტს დაურეკა ცნობილმა ბიზნესმენმა არმანდ ჰამერმა: „თუ გათავისუფლდა 78-ე სართული, შემიძლია იგი არენდით ავიღო“. ერთი წლის შემდეგ არენდით აღებულ სართულზე გაიხსნა ვისკის მწარმოებელი ფირმა „United Distillers of America“-ს მდიდრული ოფისი. შემდგომში ჰამერი იგონებდა: „იმ დროისათვის ნიუ-იორკის ცენტრში საოფისე ფართის შეძენა უფრო ძნელი იყო, ვიდრე კარგი ვისკისა“.

### 29 ივლისი, 1890 წელი



**37 წლის ასაკში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ვინსენტ ვილემ ვან გოგმა. მისი შემოქმედებითი კარიერა მხოლოდ 10 წელს ითვლიდა, მაგრამ მის მიერ დატოვილი შედევრები შეუფასებელია.**

შემონახულია 1700 ნამუშევარი, მათ შორის 900 ნახატი და 800 ფერწერული ტილო. 80 მათგანი მხატვრის სიცოცხლის უკანასკნელ ორ თვეშია შესრულებული. სიცოცხლეში ვან გოგმა მხოლოდ ერთი ტილო გაყიდა – „წითელი ვენახები არლიში“, რომელიც ამჟამად მოსკოვში, პუშკინის სახელობის მუზეუმში ინახება.

### 30 ივლისი, 1655 წელი

**ამსტერდამის ცენტრალური მოედნის დასავლეთ ნაწილში, რომელსაც დამ-ი ეწოდებოდა (ნიშნავს „დამბას“) არქიტექტორ იაკობ ვან კამპენის პროექტით აიგო ქალაქში ერთადერთი მონუმენტური შენობა – სამეფო სასახლე.**

მისი აგებისათვის მშენებლები იძულებულნი გახდნენ მერხევ-რბილობ ნიადაგში ჩაერჭოთ 13659 ცალი ოცდაათმეტრიანი ნაძვის ხიმინჯები. თავდაპირველად შენობაში რატუშა განთავსდა, შემდგომ იგი მთავრობამ გამოისყიდა და სამეფო ოჯახს გადასცა, რომელსაც ახლაც წელიწადში სიმბოლურად 1 გულდენი შეაქვს არენდის საფასურად სახელმწიფო ხაზინაში.

### 31 ივლისი, 2002 წელი



**პაკისტანის უდიდესი მეჩეთიდან ბადშახ მასჯიდიდან მოიპარეს მუსულმანთა ერთ-ერთი უწმიდესი რელიქვია – წინასწარმეტყველი მუჰამედის სანდლები.**

მუსულმანთა სიწმინდე სპეციალურ ტყვიაგაუმტარ შუშის ვიტრინაში იყო მოთავსებული. ბოროტმოქმედებმა, ისარგებლეს რა დაცვის წევრთა უყურადღებობითა და გულგრილობით, საღამო ხანს უჩუმრად გაიტანეს იგი მეჩეთიდან.

## მეხის დაცემის შემდეგ ცოცხლები გადარჩნენ

## მეცნიერებმა ახსნეს იმ ადამიანთა საიდუმლოებები, რომელთა სხეულშიც წარმოუდგენელმა ელექტრულმა მუხტმა გაიარა

*გახსოვთ ალბათ უფროსების შეგონება – მეხი რომ გავარდება, მაღალ ხეს მოერიდეთო. ისიც გაგიგიათ, რომ თუ მეხი ადამიანთა ჯგუფს დაეცა, იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს „დაარტყავს“. რატომ? რითი განსხვავდება სხვათაგან ეს „რჩეული“? როგორი ცვლილებები ხდება მის ორგანიზმში? რატომაა, რომ ზოგიერთი „მეხდაცემული“ მახსოვრობას კარგავს, ზოგიერთი კი პირიქით, ზებუნებრივი შესაძლებლობებით „ჯილდოვდება“? ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა საშუალება მისცა მეცნიერებს პასუხი გაეცათ ამ შეკითხვებზე.*

### იგი ადამიანებზეც ნადირობს

**ალბათობა იმისა, რომ ადამიანს მეხი დაეცეს, არც თუ ისე დიდია: მაქსიმუმ 600 000 „ჩამოვარდნილი“ მეხი ერთ ადამიანს ეცემა. მაგრამ ამის შანსი წლიდან წლამდე იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე, ისევე როგორც ადრეულ ხანაში, ყოველ დღე რვა მილიონჯერ ვარდება მეხი.**

ყოფილ საბჭოეთში რამდენი ადამიანი გახდა მეხის დაცემის მსხვერპლი, ეს არავინ იცის, უბრალოდ იმის გამო, რომ არავის აღურიცხავს. რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებს ეს, თითქმის ყველგან ცნობილია, რადგან ამას სადაზღვევო კომპანიებში აღრიცხავენ. კერძოდ, ამერიკაში ყოველწლიურად დაახლოებით 600 ადამიანს ეცემა მეხი. დღესდღეობით ეს ციფრი 1500-მდე გაიზარდა. მეხი, როგორც ნამდვილი მტაცებელი, ისე „ნადირობს“ ადამიანებზე.

„მეხი როგორც ცოცხალი არსება ისე მოქმედებს. – წერს ამერიკელი პროფესორი, რომელიც მისტიკისაგან შორსა დგას, – თუ ადამიანმა ტრადიციული გზით „გადაუკეტა“ გზა მეხს, მეხი დედამიწაზე ეცემა და ასხლეტვით შეუძლია დააზიანოს ადამიანის სხეული. რატომ? ეს ჯერ კიდევ ვერ დაგვიდგენია. რა იზიდავს ერთ „ცოცხალ არსებას – მეხს“ მეორე ცოცხალი არსების – ადამიანისკენ? ბევრი ამერიკელი მეცნიერი ემხრობა იმ აზრს, რომ მეხს იზიდავს ტესტოსტერონი – მამაკაცის სასქესო ჰორმონი. რატომ მაინცა და მაინც ეს ჰორმონი, ეს ჯერ ვერ აუხსნიათ. მაგრამ ზუსტად იციან – რომელ მამაკაცსაც მეხი დაეცა, ყველას ორგანიზმში ტესტოსტერონის რაოდენობა მომატებული იყო“.

### ოფლს ორთქლი ასდის, ფეხსაცმელები იწვის, ოქროს ყელსაბამი დნება

**უფრო საოცარია მეხის „საქციელი“, რომელმაც ადამიანის სხეულში გაიარა. ყველამ იცის, რომ მილიონამდე ვოლტის მუხტმა და ასობით ათასამდე ამპერის დენმა ადამიანი უნდა დაფერფლოს. მაგრამ ზოგიერთი „ბედნიერი“, გადარჩება ხოლმე. ეს საოცარია. ასეთები ერთეულები კი არა, ასობით „მეხდაცემულნი“ არიან. ამერიკაში ცოცხალი რჩება წელიწადში თითქმის 900 „მეხდაცემული“. სპეციალურად შეიქმნა ორგანიზაციაც, რომელსაც უცნაური დასახელება აქვს: „მეხის დაცემისაგან და ელექტრული დენის დარტყმისგან გადარჩენილთა ინტერნაციონალი“ (LS&ESSI). „ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულ ადამიანებს სურთ, რომ ისინი გამოიკვლიონ, – აცხადებს ცნობილი ამერიკელი ნევროპათოლოგი, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი ნელსონ ჰენდლერი.**



„ბევრ მათგანს ჰგონია, რომ მეხის დაცემა და დენის დარტყმა ერთი და იგივეა, მაგრამ ცდებიან. მეხის დაცემის დროს ზოგჯერ მათ სხეულზე არავითარი კვალი არ რჩება, თითქოს თავისუფლად გაიარაო სხეულში. სამაგიეროდ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათი ფეხსაცმელები აალებულა, დამდნარა ოქროს ყელსაბამი, უსახური, დამდნარი ლითონის ფორმა მიუღია ჯიბეში ჩარჩენილ ლითონის მონეტებს, ხოლო ოფლი ისე აორთქლებულა, როგორც წყლის დუღილის დროს წარმოიქმნება ხოლმე“.

ამგვარ შემთხვევებს მეცნიერულად აღწერს ილინოისის (აშშ) უნივერსიტეტის რეანიმატორი, მეხისაგან მიყენებული ტრავმების მკვლევარი, პროფესორი მარი ენ კუპერი: „პირველად „იწვის“ ჩვენი ელექტრული ბოჭკოები – ნერვული ბოჭკოები. ზოგჯერ ზიანდება მათი დამცველი გარსი, რომელიც ძალიან ჰგავს სადენების იზოლაციას. შოკში ჩავარდნილმა ადამიანმა შესაძლოა ვერც იგრძნოს ორგანიზმში ამგვარი ცვლილებები. მაგრამ ცვლილებამ შეიძლება თავი იჩინოს რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ორგანიზმში წარმოიქმნება „ნერვთა დამოკლება“. ამით აიხსნება ცოცხლად გადარჩენილთა შემდგომდროინდელი პრობლემები“.

ბევრ დაზარალებულს აღენიშნება კანკალი, მოძრაობის დროს კოორდინაციის დარღვევა, შუილი ყურებში, შარდშეკავება. ერთ-ერთმა გამოკითხულმა თავი გადაიპარსა, რადგან ღიზიანდებოდა... თმების რხევით. არის შემთხვევები, როდესაც მეხის დაცემა სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანებზე. მაგალითად, ვინმე იან გლოვაჩეკს ჩეხეთიდან, მამაკაცური პოტენცია მოემატა მეხის დაცემის შემდეგ და რომ იტყვიან, „სექს გიგანტად“ იქცა, როდესაც მას მეხის დაცემამდე ერექცია დაქვეითებული ჰქონდა.

### „მეხდაცემულები“ გინესის რეკორდების წიგნში

**არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს მეხი თავის არეში ეცემა. ამ დროს სერიოზულ შედეგებთან გვაქვს საქმე: დაბრმავება, სრული ამნეზია, ქცევის მანერების უცნაურობები, კომაში ჩავარდნა.**

„ჩემმა ერთ-ერთმა პაციენტმა – ჰყვება დოქტორი ჰენდლერი, – მეხის დაცემის შემდეგ „გაიხსენა“ თავისი ბავშვობა და ისე იქცეოდა, როგორც ორი წლის ბავშვი. მეორემ დროებით დაკარგა მახსოვრობა და იძულებული იყო ფურცელ-საწერკალამ მომარჯვებულს ევლო, რათა ჩაეწერა, თუ სად დადო ესა თუ ის ნივთი. ტომოგრაფიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მათ დაუზიანდათ ტვინის განსაკუთრებული ნაწილი. მეცნიერებმა ამგვარ დაზიანებას „შვეიცარიული ყველის თავი“ უწოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტვინის ამ ნაწილში გაჩნდა ისეთივე ნასვრეტები, როგორიც შვეიცარიულ ყველსა აქვს“. ამგვარი დაავადება ყველა ადამიანზე ერთნაირად როდი მოქმედებს. ბევრისათვის მართლაც სასიკეთოდ. ვინმე ჰაროლდ დინმა, მისურის შტატელმა, სახელი გაითქვა იმით, რომ მეხის დაცემის შემდეგ სიცივის შეგრძნება დაკარგა.

იხ. მე-7 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 174. კვირა, 24 ივლისი, 2005 წელი.


# ბილ კლინტონს თავისი დაკრძალვა დააფიქრებს



**ბილ კლინტონი ერთადერთია ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამად ცოცხალ ყოფილ პრეზიდენტებს შორის, რომელსაც აქამდე არ გაუგზავნია შესაბამის სამსახურში თავისი დაკრძალვის დეტალური გეგმა, წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“. მისგან განსხვავებით, 92 წლის ჯერალდ ფორდმა, 81 წლის ჯორჯ ბუშ-უფროსმა, 80 წლის ჯიმი კარტერმა უკვე წარმოადგინეს გულმოდგინედ შემუშავებული სცენარები, რომლებსაც საფუძვლად დაედო 1963 წელს პრეზიდენტ ჯონ კენედის დაკრძალვის ცერემონია.**

დაკრძალვის თაობაზე თავისი რეკომენდაციები ყველაზე კომპაქტურად ჩამოაყალიბა ჯორჯ ბუშ-უფროსმა. ყოველივე ეს 211 ფურცელზე დაეტია. კარტერის სცენარმა 411 ფურცელი დაიკავა, ფორდისამ კი – თითქმის 500. მართალია, სამგლოვიარო ცერემონიის კონკრეტულ დეტალებს არ ახმაურებენ, მაგრამ როგორც ჩანს, სამივე ყოფილი პრეზიდენტი უპირატესობას ანიჭებს პანაშვიდის გადახდას ცენტრალურ საკათედრო ტაძარში და სურთ, რომ მათი ნეშტი დაასვენონ კაპიტოლიუმში, სადაც უამრავი ადამიანი მივა გამოსათხოვებლად.

ამ ბოლო პერიოდში ერთადერთი პრეზიდენტი, რომელმაც მოისურვა, რომ მისი დაკრძალვის ცერემონია ვაშინგტონის ფარგლებს გარეთ გამართულიყო, იყო რიჩარდ ნიქსონი. იგი უკანასკნელ გზაზე გააცილეს კალიფორნიაში. და მაინც, თავის უკანასკნელ განსასვენებელ ადგილად უფროსმა ბუშმა დაასახელა პრეზიდენტის ბიბლიოთეკა ტეხასში, ფორდმა კი ასევე მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა მიჩიგანში.

უფროსი ბუშის სცენარი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ყველაზე ახალგაზრდა მფრინავი იყო, ითვალისწინებს სამგლოვიარო პროცესიის თავზე ავიაგამანადგურებლების ესკადრილიის გადაფრენას.

ყველა გეგმა სამხედრო სიზუსტითაა შემუშავებული. მათში დაწვრილებითაა მითითებული, თუ როგორ, როდის და სად დაასვენებენ ექს-პრეზიდენტების ნეშტებს, რამდენი ადამიანი შეიკრიბება და რით გაუმასპინძლდებიან მათ, როგორი უნდა იყოს ოჯახის წევრების ურთიერთობა პრესის წარმომადგენლებთან და როგორ უნდა განხორციელდეს სამგლოვიარო ცერემონიის ვიდეოგადაღება. ერთი სიტყვით, გათვალისწინებულია მასშტაბური დაკრძალვის ორგანიზებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი.

# მეხის დაცემის შემდეგ ცოცხლები გადარჩნენ

(მეექვსე გვერდიდან)

მას ზამთარშიც, ნებისმიერ ყინვაში, შიშველს შეუძლია სიარული. ინგლისელ ქალბატონს ელენ ვარდს კი ყნოსვის გრძნობა გაუუმჯობესდა. მას შეუძლია ყნოსვით მოძებნოს ნებისმიერი ნივთი, რომელსაც რამდენიმე საათის წინ შეეხო ადამიანი. ბერლინელ გიუნტერ ლუნგეს, რომელმაც მეხის დაცემამდე მათემატიკა საერთოდ არ იცოდა, თავისუფლად შეუძლია ზეპირად გადაამრავლოს ერთმანეთზე ექვსნიშნა რიცხვები. ერთ-ერთი ამერიკელი მამაკაცი გრძნობს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებებს, მას შეუძლია სადენს შეხედოს და გაიგოს მასში დენი გადის თუ არა, ხოლო ერთ-ერთ ქალბატონს ხელის შეხებით შეუძლია ნებისმიერ საკრედიტო ბარათსა და სამგზავრო ბილეთებზე გადაშალოს მაგნიტური დამცველი ხაზები. დადგინდა, რომ მეხის დაცემას ადამიანის ტვინში არა მარტო ნასვრეტებისა და „მოკლე ჩართვების“ გაჩენა შეუძლია, არამედ კონტაქტური ნერვული განშტოებების ერთმანეთთან „მირჩილვა“. ისევე როგორც კომპიუტერში მიკროსისტემებია. სწორედ ამის გამოა ზებუნებრივი ანომალიების წარმოქმნა. მაგრამ ამ პროცესებს შესწავლა, ხოლო საიდუმლოებებს ახსნა უნდა“.

## როგორ მოვიქცეთ ჭექა-ქუხილის დროს?

**მეხის ჩამოვარდნა ისე მოულოდნელად ხდება მას ვერასოდეს ვიწინასწარმეტყველებთ, ამის გამოა, რომ ასპროცენტიანი თავის დაცვა გამორიცხულია. მაგრამ თავდაცვის ზომები მაინც გასათვალისწინებელია.**

*ა) თავს ნუ შეაფარებთ მაღალ ხეებს, რადგან მეხის დაცემის ალბათობა მაღლივ შენობებსა და ხეებზე მეტია.*

*ბ) გაშლილ მინდორში მიიღეთ „ემბრიონის პოზა“ – ჩაცუცქდით და მოიხარეთ. ფეხები ერთმანეთს მიატყუპეთ. ანდა ცალ ფეხზე დამდგარი გაშეშდით.*

*გ) ნუ დადგებით ქოლგის ქვეშ. ეცადეთ ხელში არ დაიჭიროთ ლითონის ნივთები. უმჯობესია ჯიბეც გაითავისუფლოთ ლითონის საგნებისგანაც.*

*დ) ჭექა-ქუხილის გადავლამდე თავი შეაფარეთ ავტომანქანას ან ავტობუსს – მათი ლითონის საფარი დამცველ ფარად მოგევლინებათ. მეცნიერები ამგვარ დამცველებს „ფარადეის უჯრედებს“ უწოდებენ.*

*ე) ბინაში ყოფნისას გამორთეთ ელექტროობა და გაზი. არ გაიხედოთ ფანჯრიდან. არ დაანთოთ ცეცხლი ბუხარში ან ღუმელში. გახსოვდეთ ცხელი ჰაერი ჭექა-ქუხილის მუხტს იტაცებს.*

*ვ) თანამედროვე ტექნიკის გათვალისწინებით ეს რჩევაც მისაღებია: ჭექა-ქუხილის დროს ბავშვებს აუკრძალეთ ღრუბლებისკენ არ გაუშვან ლაზერული სათამაშოებიდან ლაზერული სხივი – იგი იზიდავს მეხს.*

*ზ) თუ ელჭექმა მოგისწროთ მდინარეზე, ეცადეთ სწრაფად გახვიდეთ ნაპირზე.*



**(მეხის ტემპერატურა 30 ათასი გრადუსია – ხუთჯერ მეტი, ვიდრე მზის ზედაპირის ტემპერატურაა. ძაბვა ზოგჯერ 16 მილიონ ვოლტამდე, ხოლო დენის ძალა 200 ათას ამპერამდე აღწევს.**

## მეხისაგან გაჩენილი სვირინგები

**მეხი ადამინის სხეულზე ზოგჯერ სხვადასხვაგვარ კვალს ტოვებს. ასეთ სვირინგებს „ლიხტენბერგის ფიგურებს“ უწოდებენ. ადამიანის კანზე მეხი ტოვებს ან ბუმბულის, ანდაც ხეების მაგვარ მოხატულობას, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. უხსოვარ დროს მეხისაგან „მოსვირინგებულ“ ადამიანებს ღმერთის მიერ დადაღულს უწოდებდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. ვინც მეხის დაცემით დაიღუპებოდა, მას დიდი პატივით კრძალავდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ იგი ღმერთმა „მიიწვია“ თავისთან.**

ალბათ ღმერთთან ვერასოდეს მივა ვირჯინიელი (აშშ) 35 წლის მეტყევე როი სალივანი, რომელსაც მეხი... 7-ჯერ დაეცა და ცოცხალი გადარჩა. იგი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.

დაბოლოს, მეტად საინტერესო ფაქტიც – მეხი ცხოველებს უფრო ხშირად ეცემა და კლავს, ვიდრე ადამიანს. რატომ? რუსი პროფესორის ედუარდ ბაზელიანის განმარტებით, აქ მოქმედებს „ბიჯური ძაბვა“. იმპულსური დენი სხვაობას იძლევა წინა და უკანა კიდურებს შორის, რაც მეტია იგი, ცხოველის სიკვდილს იწვევს. დაშორება მათ კიდურებს შორის დიდია. ამიტომაც აქვს ადამიანს გადარჩენის მეტი შანსი. მონტანელი (აშშ) ბარი სმიტი ცხენზე იყო ამხედრებული, როდესაც მას მეხი დაეცა. თავად გადარჩა, ცხენი კი დაიღუპა.

***ტვინის მუშაობის მასტიმულირებელი ახალი თაობის პრეპარატი, თავისებური კოსმეტიკა ტვინისთვის, შეიძლება გახდეს ისეთივე ჩვეულებრივი რამ, როგორც ფინჯანი ყავა. ასეთი დამაიმედებელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს წამყვან-მეცნიერთა ოფიციალური გამოკვლევის შედეგები. მძლავრი სტიმულატორები, რომლებიც მეხსიერებას აუმჯობესებენ, ამაღლებენ ინტელექტს და ტვინის საქმიანობის სხვა პარამეტრებს, ყველაფერი ეს, აუცილებლად იქნება შემუშავებული უახლოესი 20 წლის განმავლობაში.***

# კოსმეტიკა ტვინისთვის



**ამ სტიმულატორებს არ ექნებათ რაიმე მნიშვნელოვანი თანამდევი ეფექტი, თითქმის არ წარმოიქმნება შეჩვევის ეფექტი, მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მარტო სამედიცინო მიზნებისთვის, არამედ, მაგალითად, იმისთვის, რომ უკეთ ჩავაბაროთ გამოცდა, მივიღოთ უფრო გონივრული გადაწყვეტილება მუშაობის დროს, ან თუნდაც, დავივიწყოთ არასასიამოვნო მოგონებები, ამტკიცებენ მეცნიერები.**



„ინტელექტუალური საქმიანობის სტიმულატორების“ სერიიდან პირველი უკვე შეიმუშავეს სამედიცინო პრობლემების გადაჭრისთვის შექმნილი პრეპარატების გამოკვლევის გზით.

„ჩვენს შეშლილ სამყაროში, რომელშიც სულ უფრო მეტად იზრდება კონკურენცია, ადამიანის მიერ ასეთი ნივთიერებების ინდივიდუალური გამოყენება შეიძლება იქცეს ნორმიდან გადახრად, ინტელექტუალური საქმიანობის სტიმულატორები კი ჩვენს ცხოვრებაში ყავის ადგილს დაიკავებენ“, – ხაზგასმულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამთავრობო ცენტრის წინასწარი ცოდნის ინსტიტუტის მოხსენებაში.

„ალბათ, უახლოეს მომავალში შეიქმნება ტვინის საქმიანობის სტიმულატორები იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც უჭირთ ყურადღების გამახვილება, გონების მოკრება ან ფხიზლად ყოფნა. ეს ასევე ხელს შეუწყობს ადამიანებს რაღაც-რაღაცეების დავიწყებაში და მათი ძილიც უფრო ღრმა და ნაკლებად იმპულსური იქნება“, – აღნიშნულია ანგარიშში.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ტრევორ რობინსმა, – ამ ანგარიშის ერთ-ერთმა წამყვანმა ავტორმა – განაცხადა, რომ ექიმის მიერ დანიშნულ ორ ცნობილ პრეპარატში აღმოაჩინეს ტვინის აქტიურობის გადიდების შესაძლებლობები მაშინ, როცა ამ წამლებს იღებენ ჯანმრთელი ადამიანები.

რიტალინს, რომელსაც უნიშნავენ გაფანტული ყურადღების მქონე ბავშვებს, იყენებს ზოგიერთი სტუდენტიც, როცა მათ სურთ გამოცდებზე კარგი ნიშნების მიღება, ასევე ბიზნესმენები, რაც მათ ეხმარება საქმიანი თათბირის უკეთ გაძღოლაში.

მოდაფინილი, პრეპარატი, რომელიც შემუშავებულია ნარკოლეფსიის სამკურნალოდ, ჯანსაღ ადამიანებში იწვევს ყურადღების კონცენტრაციის გაძლიერებას, ეხმარება მათ ამა თუ იმ გადაწყვეტილების უფრო ეფექტიან მიღებაში, ამტკიცებს პროფესორი რობინსი.

„ამ წამლების წყალობით თქვენ ნაკლებად იმპულსური ხდებით, უფრო მეტ ყურადღებას უთმობთ ამა თუ იმ პრობლემას, შესაძლოა, გადაწყვეტილებების მიღებისთვის მეტი დრო დაგჭირდეთ, მაგრამ სამაგიეროდ, თქვენი გადაწყვეტილება სწორი იქნება“, – დარწმუნებულია რობინსი.

ტვინის ქიმიის დარგში განხორციელებული გამოკვლევების შედეგად აღმოაჩინეს 60-მდე ბუნებრივი ნივთიერება, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ინტელექტზე. შემდგომი მუშაობა აუცილებლად დასრულდება ისეთ ახალი პრეპარატების შექმნით, რომლებიც გააუმჯობესებენ ტვინის საქმიანობას, აღნიშნულია ანგარიშში.

ტვინის საქმიანობის სტიმულატორის გამოყენება შეიძლება ასევე იმ მიზნითაც, რომ ნარკომანებს დავეხმაროთ ამ მავნე ჩვევისგან განკურნებაში.

# ყველაფერი ყველაფერზე

## გინება პირდაპირ ეთერში



**ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციამ ტელემაყურებელთაგან 400-მდე საჩივარი მიიღო, რომელთა დამწერნი აღშფოთებულნი არიან „Live 8“-ის კონცერტის დროს პირდაპირ ეთერში ზოგიერთი მუსიკოსისგან დედის გინებით. დიდ ბრიტანეთში მოქმედი კანონების მიხედვით, უწმაწური სიტყვები ეთერში არ უნდა გაისმოდეს 21 საათამდე (!). Live 8-ის გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი ლონდონის ჰაიდ-პარკში სწორედ რომ, პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. ზოგიერთმა მუსიკოსმა მაგარი გამოთქმები არა მარტო სიმღერების ტექსტებში იხმარა, არამედ მაყურებელთა მისამართითაც. შემკურთხებელთა შორის იყვნენ მადონა და ბრიტანელი როკერი ჯონი ბორელი.**

ბი-ბი-სიმ ოფიციალურად მოუბოდიშა ყველას, ვინც შეურაცხყოფილი დარჩა ეთერში „გაჟღერებული“ უცენზურო სიტყვებით. Live 8-ის ტრანსლაციის შემდეგ შემოსულ საჩივართა რაოდენობა საგრძნობლად მეტი იყო, ვიდრე ამინდის პროგნოზის მაილუსტრირებელი დიდი ბრიტანეთის რუკის შეცვლით გამოწვეულთა...

Live 8-ის კონცერტებმა მსოფლიოს 10 ქალაქში ჩაიარა, იმათი ტრანსლირება 140-ზე მეტმა ტელეკომპანიამ და ასე, 400-მა რადიოსადგურმა მოაწყო.

## ლუდში განბანვა 130 ევრო ღირს

**ავსტრიის პროვინცია ტიროლში არის დაბა ტარენცი, სადაც ამას წინათ მსოფლიოში პირველი ლუდის აბანოები გამოჩნდა.**

– დავლიო? გავცურო? – ასეთ, თითქმის ჰამლეტურ კითხვას სვამენ ტარენცის მცხოვრებნი და სტუმრები.

ლამაზი შუასაუკუნეობრივი ციხე-სიმაგრის, შტარკენბერგის დასვენების პარკის ტერიტორიაზე გახსნილი „ლუდის აბანოები“ შვიდი აუზისგან შედგება, რომლებიც სინამდვილეში ფოლადის სადუღარებს წარმოადგენენ, ყველა ქვეყნის მამაკაცთათვის საყვარელი ქერის სითხით სავსეს. თითოეული აუზის მოცულობა 20 ათასი ლიტრია. ოღონდ როფებში გასაყიდი ლუდი კი არაა ჩასხმული, არამედ მხოლოდ საფუარის ნარჩენები. 130 ევროდ ასეთი როფის დაქირავება მთელი საღამოთი შეიძლება. ამასთან ყოველ ახალ კლიენტს ხელახლა უვსებენ აუზს. აბაზანის შიგთავსის დალევა არაა სავალდებულო, რადგანაც ფოლადის წყალსაცავის (ახლა უკვე „ლუდსაცავის“) ნაპირთან, კასრიდან ახლადმოხარშული ლუდით, თავის (ეგებ ყელის...) შექცევა შეიძლება ნებისმიერი რაოდენობით.

აქვე შევნიშნოთ: ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ასეთ აბაზანებს ხომ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის მმართველი დედოფალი კლეოპატრა იღებდა. თანაც, სპეციალისტთა აზრით, საფუარის სალექებში ბანაობა სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს კანზე, თმასა და ფრჩხილებზე.

## რომის პაპი ჰარი პოტერს გადაეკიდა?

**პონტიფიკოსის აზრით, წიგნები ნორჩ ჯადოქარზე „რწმენას ვნებენ“... და კიდევ, ბენედიქტე XVI კატეგორიული წინააღმდეგია თავისუფალი სიყვარულისა და აბორტებისა.**

პაპი სანამ გახდებოდა, ამჟამინდელი პონტიფიკოსი დიდი ინკვიზიტორი გახლდათ – რწმენის ქადაგების საქმეთა კონგრეგაციის პრეფექტი. რასაკვირველია, კოცონზე, წინამორბედთა მსგავსად, არავინ გაუგზავნია, სამაგიეროდ, ჰარი პოტერის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას ჩაუდგა სათავეში.

ორიოდ წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ კარდინალი რატცინგერი იყო, ყოველმხრივ უჭერდა მხარს ანტიპოტერულ ლიტერატურას, კერძოდ, გერმანელი ქალის გაბრიელ კაბის წიგნს „ჰარი პოტერი: ბოროტების ღმერთი“.



არადა, ამ ქალბატონს, ჯოან როულინგისგან განსხვავებით (ჰარის სახის შემქმნელი), არავინ იცნობს. მაინც, რითი ვერ ასიამოვნა ვატიკანს პატარა ჯადოქარმა?

„რა კარგია, რომ ნათელი მოჰფინეთ წიგნებს ჰარი პოტერის შესახებ; იმიტომ, რომ ეს არის ცდუნება, რომელიც შეუმჩნევლად მოქმედებს და ანგრევს ჯერაც ჩამოუყალიბებელ რწმენას“, – მისწერა მომავალმა პაპმა გაბრიელ კაბის.

ამ წერილის გამოქვეყნება გერმანელმა ქალბატონმა მხოლოდ ახლა გაბედა. გაბედოს რა – ჰარის თავგადასავლებზე ახალი ტომისათვის უკეთეს რეკლამას ვერც მოიფიქრებ...

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

**1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო აცხადებს ღია ტენდერს მიზნობრივი პროგრამის „აჭარის მაგისტრალებზე არსებული ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლება“ განსახორციელებლად. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ მაგისტრალებზე (ჯამში 49კმ. მანძილზე) ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლება მკვრივი, ქარისადმი მდგრადი ჯიშებით, როგორებიცაა კრიპტომერია, ევკალიპტი და კაკალი.**

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთვის შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება და სამუშაოების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადების დღიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 9 აგვისტოს 10 საათიდან 16 აგვისტოს 17 საათამდე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა №6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, ტელ: 7-35-90.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესყიდვის ობიექტის ხარისხის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი;

გ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 17 აგვისტოს 15 საათზე. შედეგების შესახებ მონაწილე პირებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ.

8. საკვალიფიკაციო მონაცემებს აფასებს სატენდერო კომისია და გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 23 აგვისტოს 17 საათამდე მე-4 პუნქტში აღნიშნულ მისამართზე. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: აჭარის ცენტრალური ბანკი, კოდი: 220501102, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური, ს/კ 245444844, ანგარიშის № 000142101, სატენდერო მოსაკრებელი, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 4040. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: გიორგი კომახიძე, ნინო გიგინეიშვილი, მისამართზე ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, ტელ: 7-35-93.**

11. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

**1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო აცხადებს ღია ტენდერს მიზნობრივი პროგრამის „ურბანიზებულ ტერიტორიებზე გამწვანების ღონისძიებები“ განსახორციელებლად. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრულ ტერიტორიებზე (სულ 20 ჰა) [illegible] განაშენიანება (შესაბამისი ფართობის გაწმენდა, [illegible] ბოძების შეძენა, ფართობის შეღობვა, ნერგების შეძენა-განაშენიანება). [illegible]**

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთვის შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება და სამუშაოების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადების დღიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 9 აგვისტოს 10 საათიდან 16 აგვისტოს 17 საათამდე. მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩა №6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, ტელ: 7-35-90.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5(ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესყიდვის ობიექტის ხარისხის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი;

გ) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 17 აგვისტოს 18 საათზე. შედეგების შესახებ მონაწილე პირებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ.

8. საკვალიფიკაციო მონაცემებს აფასებს სატენდერო კომისია და გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით.

9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 23 აგვისტოს 17 საათამდე მე-4 პუნქტში აღნიშნულ მისამართზე. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: აჭარის ცენტრალური ბანკი, კოდი: 220501102, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური, ს/კ 245444844, ანგარიშის № 000142101, სატენდერო მოსაკრებელი, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 4040. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: გიორგი კომახიძე, ნინო გიგინეიშვილი, მისამართზე ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, ტელ: 7-35-93.**

11. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლენილი იქნას ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

## კვირის ვოსანი

სალაღობო ზაზა გოროზიას — საქართველოს პრეზიდენტის ახლადდანიშნულ რწმუნებულს სამეგრელო-ზემო სვანეთში



თქვა მიშამ (ხოლო, მოძახილი, გუბერნატორების ქოროსია):
გოროზ სვანეთში ეროზია
უნდა შეაჩეროს გოროზიამ.
სამეგრელოშიც დიდი საქმე
დასტურ, ელოდება გოროზიას:
უნდა უშველოს მშობელ ხალხში
დაწყებულ სულის კოროზიას!

ვილენ მარდალეიშვილი.
ბელა დურგლიშვილის ნახატი.

**„ნადო პერესტროივატსია, ტაკ ბოლშე ნელზია ჟიტ" — ყურებიდან აღარ გამომდის საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი უტვინო ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვის სიტყვები. რა თქმა უნდა, გამონათქვამი მას ეკუთვნის, მაგრამ „პერესტროიკის" აზრი რომ ამერიკელებმა „შემოაგდეს", ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

**ნებისმიერ რევოლუციას, აჯანყებას თუ ომს, პიროვნებები იწყებენ ხალხის სახელით და ამთავრებენ საკუთარი თავის განდიდებით და გამდიდრებით. ეს ასე იყო პირველყოფილ ადამიანებშიც და ასეა კომპიუტერიზაციის ხანაშიც.**

როცა საბჭოეთის ლიდერმა ზემოთ ხსენებული სიტყვები წამოაყრანტალა, ხალხის გარკვეულმა ნაწილმა აიტაცა იგი, დაიჯერა, რომ ეგრეთწოდებული „პერესტროიკა" სიკეთეს მოუტანდა ხალხს. ჯერ ისტორიას არ ახსოვს, რომელიმე სისხლისღვრას, რომლის გარეშეც არავითარი გარდაქმნები არ ხდება, ხალხისთვის სიკეთე მოეტანოს. ყველა საუკუნეში ხალხის „ჯილდო" მხოლოდ სიკვდილი იყო, მათი სისხლისა და სიკვდილის ხარჯზე ისინი მდიდრდებოდნენ და მდიდრდებიან, ვინც ხალხს კეთილდღეობას ჰპირდებოდა.

შორს არ გვინდა წასვლა. რა მოუტანა „პერესტროიკამ" ხალხს, გარდა სიღატაკისა და ზნედაცემულობისა?

კი, ბატონო, იმპერიები ინგრეოდნენ და სსრკ-ც დაინგრა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, უფრო ცივილიზებულად წარმართულიყო ყველაფერი და სისხლი არ დაღვრილიყო? როგორც ჩანს, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ეს არ მოხდებოდა, რუსი არ დათმობდა და არც თმობს არაფერს უსისხლოდ!

ეს რაც შეეხება რუსებს. კი, ბატონო, მთელმა მსოფლიომ იცის რუსის დამპყრობლური ბუნების შესახებ. მაგრამ, ჩვენში, საქართველოში, ქართველების ხელით რაც მოხდა და ხდება, ეს ვის დავაბრალოთ? ის, რომ საქართველო გაიყიდა, გაიძარცვა, გაიჩეხა, გაღატაკდა, გაიქურდა და განარკომანდა, ვისი ბრალია?!

ჩავიხედოთ ყველამ საკუთარ სულებში, სინდისში და დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია.

ქვეყანა, სადაც ნაღდი ინტელიგენცია, ნაღდი გლეხი, ნაღდი ხელოსანი,

### მორევი

# გაიგეე, დიტო თენგიზზე ქორწინდება!

ნაღდი მუშა მშიერია და ერთი მუჭა კაპიტალისტებს მუცლები დახეთქვაზე აქვთ, ის ქვეყანა არ არის!

იმ ქვეყანაში, სადაც აშკარად ხელიდან გამოჰგლიჯეს ხალხს დანაზოგები და ყოველდღიური სარჩო არ დაუტოვეს, თანაც უამრავ გადასახადებს სთხოვენ — არ არსებობს სახელმწიფო! ეს უფრო გამომძალველების, ყაჩაღებისა და ქურდების მმართველობას ჰგავს.

ისე, ჩვენში დარჩეს და „სიკეთეც" ბევრი მოუტანა „პერესტროიკამ", დამოუკიდებლობამ და სრულმა „დემოკრატიამ" საქართველოს. დავიწყოთ იმით, რომ დახოცილი იყო ხალხი შრომით, — ყანაში, ბაღში, ვენახში, ჩაის პლანტაციაში, ფაბრიკა-ქარხნებში. არ გინდა, ყოველდღე უთენია ადგომა და სამუშაოზე წასვლა?! კი უხმება საქართველოს მცხოვრებთა დიდ ნაწილს კუჭი შიმშილით, მაგრამ, სამაგიეროდ დაისვენეს. ახლა დგანან ჯგუფ-ჯგუფად და ჭორაობენ, ვინ რამდენი მილიონი მოიპარა, ვის რამდენი მილიარდი აქვს შვეიცარიის ბანკში, შეიძლება თუ არა იმ მილიარდების წართმევა და საქართველოში დაბრუნება, რამდენი ათასი მანეთი წაართვეს რიგით მოქალაქეებს ბანდიტმა ბანკირებმა...

ახლა, ბობოლებში როგორი ჭორაობა მიდის: „ბიჭო, ჩემი დედა... გუშინ კაზინოში 5000 დოლარი წავაგე"; „აბა, შეჩემა, ყოველთვის მოგება სად არი, ამას წინათ ხომ მოიგე 7000"; „ბიჭო, ეგ კი არა, რა დრო გავატარეთ წუხელ ღამის ბარში, ანა მაინც რა გოგოა, გადამრია, ისეთი რამეები გამიკეთა;"

— „ვიცი, ბიჭო, მაგასთან მეც ნამყოფი ვარ და მართლა მაგარი სექსია".

ახლა ავდგეთ და შევადაროთ კომუნისტებისდროინდელი შრომისგან ხელისგულგადატყავებული და ღღევანდელი ხალხი. რომელი დრო ჯობდა?! რა თქმა უნდა, ახალი.

ყველაზე დიდ „წარმატებას" სექსის სფეროში მივაღწიეთ. „სექსუალური" მაღაზიაც კი გაიხსნა, რომელმაც თვალები უნდა აუხილოს თანამედროვე, ჯერ კიდევ სექსუალურად გაუნათლებელ ადამიანებს. თუკი კაცი ყოველდღიურად გასტრონომში შედის და მუცლის ამოსაყორ ხორაგს ყიდულობს, ხანდახან იქაც შეიაროს და იყიდოს რაღაც, ოჯახში ყველაფერი საჭიროა.

ნებისმიერ მაღაზიაში შევა მყიდველი და ეტყვის გამყიდველს:

— ქალბატონო, ერთი კილო ბრინჯი, ნახევარი კილო შვეიცარული ყველი და ორი ცალი ქართული პენისი მომეცით.

— ქართული თუ ფრანგული?

— ქართული. მე მგონი, გასაგებად გითხარით...

— რა ზომები მოგართვათ, ქალბატონო?!

შეგრცხვათ, არა? არა უშავს, გარწმუნებთ, ამასაც შეეგუებით...

აბა, იმას დაიჯერებდით, უწინ რომ ეთქვათ, ქართველი ქალები ბოზობით ქმარ-შვილს არჩენენო? ან იმას, რომ ცისფერებს თავიანთი კლუბი აქვთ გახსნილიო? ეგ კი არა, ასე თუ გაგრძელდა, მალე შეიძლება ამგვარი საუბარიც მოვისმინოთ:

— გაიგეე, მანანა, ახალი ამბავი?
— დიტო, თავის თანაკურსელ თენგიზს ირთავს ცოლად.

— რა ქნან, თუ უყვართ ერთმანეთი?!

გაგიკვირდათ? ესე იგი ჩამორჩენილი ხართ. თუ ჩვენ ევროპელობაზე ვდებთ თავს, მაშინ ქართველობისგან უნდა დავიბანოთ ხელები, აბა როგორ გინდათ?

ამას წინათ ერთ-ერთ ჟურნალში გასაბერი ქალის ფოტო ვნახე, საკმაოდ დებილური გამომეტყველების სექს-თოჯინას ისეთი ირონია აქვს სახეზე, თითქოს მამაკაცებს დასცინის და ეუბნება:

— შე დეგენერატო, ამ ბოზების ქვეყანაში, მე რა ჭირად გინდივარ? თუ ონანიზმს მისდევ, მაგას შენითაც მოახერხებ, უფულოდ, რაში იხდი 500 ლარს?!

არადა ყველა ქალი „იბერება" ნორმალურ მამაკაცთან ურთიერთობის დროს. ჰოდა, რა რეზინის ქალი აიტეხეთ. კარგით და, ერთ მშვენიერ დღეს, სექსის პროცესში რომ დაიჩუტოს, რას შვრები მაშინ?! ჩემი აზრით, სანამ გასაბერი ქალების ვულკანიზაციის საქმე არ მოგვარდება, სექს-თოჯინებით ვაჭრობას გამართლება არა აქვს.

ერთადერთი დადებითი სექს-თოჯინისა ის არის, რომ არც საჭმელ-სასმელი უნდა, არც ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, არც კოსმეტიკა და არც სხვა ზედმეტი ხარჯები. გაბერე, მოესიყვარულე, დაჩუტე და ბალიშქვეშ ამოდე. თანაც ლაპარაკით ტვინს არ გაგიხვრეტს.

სინდის-ნამუსიდან ხელების დაბანამდე ხომ დიდი დრო აღარ დარჩენია ხალხს და ეროვნების გაუქმებაზეც გაგანია მუშაობა მიდის. ამ თემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ამიტომ ამაზე ლაპარაკს ახლა არ გავაგრძელებ, მხოლოდ ერთი შენიშვნა მინდა გავაკეთო — ეროვნება კი არა, სქესი ამოვიღოთ საბუთებიდან. ახლა, აბანოში თუ არ გასინჯე, ვერ გაიგებ რომელი სქესისაა ადამიანი. რამდენს უწერია საბუთებში: სქესი — მამრობითი და მეორე სახელი ნანა ან რუსიკო ჰქვია. აი, ამ საკითხზე მსჯელობა ნაღდად ღირს. ამიტომ, გავანებოთ თავი სოციალურ-ეკონომიურ სიდუხჭირეზე საუბარს, ზნეობრიობაზე ვიფიქროთ, რომლის გამოსწორებას საუკუნე მაინც დასჭირდება.

ნიკოლოზ იოსებიძე.

### SIC!

## საშიშროების რეიტინგი

**ლონდონში მომხდარი ტრაგედიის წინ ინგლისის Mercer Human Resource Consulting კომპანიის ექსპერტებმა შეადგინეს მსოფლიოს 215 ქალაქის უსაფრთხოების რეიტინგი.**




1. ლუქსემბურგი
2. ჰელსინკი, ბერნი, ჟენევა, ციურიხი
3. სტოკჰოლმი...
58. ნიუ-იორკი, პრაღა, ბრატისლავა, ბოსტონი...
69. მადრიდი, ლონდონი...
74. რომი...
83. ათენი...
175. სანკტ-პეტერბურგი...
179. ყაზანი, ნოვოსიბირსკი...
198. მოსკოვი...
215. ბაღდადი.

## შექლებულ ოჯახებში აღზრდილი ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულობები

**10-დან 16 წლამდე ასაკის ადამიანს ხშირად ძალზე უჭირს იმის დანახვა, თუ სად მთავრდება თამაში და სად იწყება დანაშაული. მოგვყავს ბავშვებისა და მოზარდების მიერ ჩადენილი ყველაზე გავრცელებულ დანაშაულობათა ნუსხა.**

ქურდობა მაღაზიებიდან, ღია ავტომობილებიდან და ა. შ.

სატრანსპორტო საშუალებების გატაცება.

გამომძალველობა.

უკანონო ფულად-სასაქონლო ოპერაციები.

სატელეფონო ტერორიზმი.

ხულიგნობა.

იარაღის უკანონოდ შესყიდვა და ტარება.

ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა.

ვანდალიზმი.



## როგორ შევინარჩუნოთ მემკვიდრეობა

**სხვისი ქონების დაპატრონებას თაღლითები ცდილობენ ანდერძის შედგენიდან მემკვიდრისთვის ქონების მართვის უფლებების გადაცემამდე.**

| თაღლითობის სახე | როგორ ავიცილოთ თავიდან |
|---|---|
| ანდერძის გაფორმება მაშინ, როცა ადამიანი უკვე გარდაცვლილია. | *წინასწარ გადაწყვიტეთ თქვენს ნათესავებთან ერთად ქონებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.* |
| სამუდამო რენტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ანდერძის ნაცვლად, რათა თავიდან ავიცილოთ გადასახადების გადახდა. ქონება კი თაღლითის საკუთრება ხდება. | *2006 წელს, როცა გაუქმდება გადასახადები, პრობლემა აქტუალური აღარ იქნება.* |
| იმ პირზე ზემოქმედების მოხდენა, რომელიც ანდერძის შედგენას აპირებს. | *დაინტერესდით თქვენი ნათესავების მიმდინარე საქმეებით.* |
| ანდერძის შეცვლა | *ოდნავი ეჭვიც თუ გაგიჩნდათ, დაუყოვნებლივ მოითხოვეთ ექსპერტიზა.* |
| აქამდე უცნობი ნათესავების გამოჩენა მაშინ, როცა ანდერძი არ არსებობს. | *ნუ შეგრცხვებათ, თუ მიმართავთ პოლიციას ამა თუ იმ ადამიანის ვინაობის დასადგენად.* |

### ცოტაც გავიღიმოთ...



— **ექიმო**, მიშველე, ხელები საშინლად მიკანკალებს!..

— ბევრსა სვამთ?

— აბა, რას ამბობთ, ღვინო არასოდეს მეღვრება!

* * *

**ფსიქიატრი** ეკითხება პაციენტს:

— მომიყევი, როგორ დაგეწყო დეპრესია?

— ჩემმა ყოფილმა ცოლმა გაიცნო ჩემი ახლანდელი ცოლი, ჯერ ცოტა წაიჩხუბეს, შემდეგ კი შერიგდნენ და ერთად მიტყიპეს ჩემი მომავალი ცოლი...

* * *

**პალატაში** შესული ექიმი კინაღამ გაგიჟდა, როცა დაინახა, რომ ექთანი მთელი ძალით ანჯღრევს ავადმყოფს:

— რას აკეთებთ? ხომ არ გადაირიეთ?

— მაპატიეთ, ექიმო, მაგრამ დამავიწყდა, რომ წამალი, რომელიც მას დავალევინე, დალევის წინ უნდა შემენჯღრია.

* * *

— **ექიმო**, მე მხოლოდ მაშინ ვეწევი, როდესაც რამე გამიხარდება.

— არა უშავს, ორი-სამი სიგარეტი წელიწადში ჯანმრთელობისთვის მავნე არ არის.

* * *

**დეპუტატობის** კანდიდატის წინასაარჩევნო გამოსვლიდან:

— თუ მე ამირჩევთ, თქვენ გექნებათ ის, რაც არა გაქვთ, არ გქონიათ და არც არასოდეს გექნებათ!

* * *

— **თქვენ** არ ეწევით? ჯანმრთელობას უფრთხილდებით?

— არა, ფულს არყისთვის ვაგროვებ.

* * *

— **არ** ვიცი, რა ვუყო ჩემს ქმარს. ისევ ლუდხანაში ზის.

— ურჩიე, მაგალითი ჩემი ქმრისგან აიღოს... ის დიდი ხანია, უკვე სახლში მოიტანეს!

* * *

— **თქვენს** ძაღლს კარგი წინაპრები ჰყავს?

— იცით, მას ისეთი წინაპრები ჰყავს, ლაპარაკი რომ შეეძლოს, არც თქვენ და არც მე არ დაგველაპარაკებოდა...

### გიხაროდეს!

## ახალგაზრდა ოჯახის პირველი შვილი



ბელა კიკილაშვილმა და რაჯი ირემაშვილმა ერთი წელიწადია, რაც ოჯახი სიყვარულით შექმნეს. მოუთმენლად ელოდნენ შვილს და პირველი სიხარულიც ეწვიათ — თბილისის დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში გოგონა შეეძინათ. ბავშვს ბებიის სახელი — მარინა დაარქვეს. პირველი შვილიშვილის შეძენით ხარობენ მარინა ღვინიაშვილი და კუკური ირემაშვილი, ხოლო მეორე შვილიშვილის შემატებით — ნათელა კიკილაშვილი.

გოგონას დედა ბელა კიკილაშვილი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის ემადლიერება სამშობიარო სახლის მეან-გინეკოლოგს მეგი ბერუჩაშვილს, ნეონატოლოგს ნანა ზერაგიას, ბებიაქალს მადონა ჭეიშვილს, სამშობიარო სახლის მთელ სამედიცინო პერსონალს.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

ნინო ლიბრაძე

### მოდა

# საზაფხულო კოლიუჟკა პარიზში ჩაიტანას

**ნიუ-იორკის მოდის კვირეულმა ტრიუმფით ჩაიარა და მსოფლიოს ელიტურმა საზოგადოებამ ყურადღება პარიზს მიაპყრო. აქ თავიანთი შემოქმედება, ძირითადად, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილმა დიზაინერებმა წარმოადგინეს.**

კვირეული ექსტრავაგანტულმა მონტანამ გახსნა, რომელიც მოდის სამყაროში დიდი პოპულარობით და წარმატებებით გამოირჩევა. ამ ჩვენებაზე კოლექცია მამაკაცებისთვის სწორედ მან წარმოადგინა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მისმა ჯინსის ვიწრო შარვლებმა. კლასიკურისა და ავანგარდულის სინთეზი — ასე შეიძლება ვუწოდოთ მონტანას კოლექციას, რომელიც პოდიუმზე ძალიან ეფექტიანად და საინტერესოდ აღიქმებოდა.



ულტრათანამედროვე კოლექცია წარმოაჩინა კრისტიან დიორის სამოდელო სახლმა. ჩვეული ელეგანტურობით გამორჩეული ქალის ულამაზესი საზაფხულო კოსტიუმები, კერძოდ, სარაფნები, სიფრიფანა ბლუზონები, ფერად-ფერადი მიდი (მუხლის ქვემოთ) ქვედაბოლოები და სხვა.

კარლ ლაგერფილდი ფრანგული სტილის მიმდევარი და უბადლო დამცველია. 2005-2006 წლების კოლექცია სწორედ ფრანგული სტილის, მისი განუმეორებელი ელეგანტურობისა და დახვეწილობის გავლენით შექმნა — გამჭვირვალე შიფონის გოფრირებული კაბები, აბრეშუმისა და ფარჩის სარაფნები მისი კოლექციის მთავარ შტრიხს წარმოადგენდა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კარლ ლაგერფილდს ამ ჩვენებაზე განსაკუთრებული სიახლე არ შემოუტანია.

70-იანი წლების მოდას მოგაგონებდათ მარკ ჯაკობსის ნამუშევრები. მან კარგად დავიწყებულ ძველ სტილს ახლებური ბრწყინვალება ოსტატურად შემატა. მისი კოლექცია, ამჯერად, განსაკუთრებული ფერადოვნებით გამოირჩეოდა და ბუნებრივია, მსუბუქ, მხიარულ განწყობას ქმნიდა.

ამ კვირეულში სხვა ახალგაზრდა დიზაინერებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც მოდის მიმდევართ არანაკლებ საინტერესო საზაფხულო კოსტიუმები შესთავაზეს.

აღსანიშნავია, რომ პარიზის მოდის დღეებში ის დიზაინერებიც მონაწილეობდნენ, რომელთა შემოქმედებას აქამდე საზოგადოება ნაკლებად იცნობდა. ამ ჩვენებისას მათ აშკარად გაიმარჯვეს და მაღალი მოდის სამყაროში თავიანთი სახელები საბოლოოდ დაიმკვიდრეს.

ლელა დონაძე





## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

### ლარის კურსი

**24 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.1642 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8137 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2065 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0634 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3857 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4105 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6202 ლარი. |

### ამინდი დღეს

| 24 ივლისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $37^0$ | $21^0$ |
| ბათუმი | $34^0$ | $21^0$ |
| სოხუმი | $32^0$ | $20^0$ |
| ქუთაისი | $34^0$ | $22^0$ |
| თელავი | $36^0$ | $20^0$ |



მეუღლე ნაზი, შვილები დათო, გიორგი (გიგა) ცქიტიშვილები, რძალი თეა გაბიჩვაძე, შვილიშვილი სანდრო, და დოდო (ლილი), დისწულები მიხეილ, ნუგზარ კაკაბაძეები ოჯახებით, ცოლისდა მაყვალა, ცოლისძმა ვახტანგი, რძლები მანანა, ლალი ჩაჩანიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლევი დავითის ძე ცქიტიშვილი
გამოსვენება 24 VII, 14 სთ. ზალდასტანიშვილის შესახვევი №2.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მეტალურგი
ელისაბედ (ლიზიკო) ნადირაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი — შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგაშიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK